რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 2 სექტემბერი 1917

ერთობა

ფასი 12 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 2 მან. 60 კაპ., ორი თვით 5 მ. 20 კ., სამი თვით 7 მან. 80 კ., ოთხი თვით 10 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ., მეოთხე გვერდზე—15 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 6 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს ღამის 11 საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 137 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 137

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში:

ერთი თვით—**2 მან. 60 კაპ.**, ორი თვით—**5 მან. 20 კაპ.**, სამი თვით—**7 მან. 80 კაპ.**, ოთხი თვით—**10 მან. 40 კაპ.** ცალკე ნომერი ყველგან **12 კაპ.** ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველი რიცხვიდან. ადრესის შეცვლა პროვინციელ ხელის-მომწერთათვის **1 მანეთი.** **გაზეთის ფასი ხელის მომწერ. წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.**

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: **Тифлисъ, почтовый ящикъ № 199., редакція „Эртоба".**

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლება-ში" ოლღას ქუჩა, № 6.

იმ ხელის მომწერთ, რომელთაც ამ წლის მეორე ნახევრის ფული ძველ ფასობზე აქვს გამოგზავნილი, უმორჩილესად ვსთხოვთ შესაფერათ შეავსონ თავიანთი ხელის მოსაწერი ფული ზემოხსენებულ ფასის და მიხედვით.

გულდათუთქულნი დედა პელაგია მანუჩარის ასული, მეუღლე მართა ალექსანდრეს ასული, შვილი კუკური და ელენიჩკა, ძმები სიმონ (მუშანგი) და ლეონტი, რძალი მანია კონსტანტინეს ასული და ძმისწული სერგოლა ელიავები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ 3 სექტემბერს კვირას დღის 12 საათზედ სოფ. დანირში (ქუთაისის მაზრა) წმიდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის

ჭიჭიკო (ალექსანდრე) თომას ძე ელიავას

სულის მოსახსენებლად. (1—1)

პური

წესები პურისა და ფქვილის ბარათებით მისაღებათ

1) პურის ბარათის ტალონები გამოდგებიან მხოლოთ მათზე აღნიშნულ დღეს.

2) მთელი დღის რაციონი მიეცემა ორი ტალონით.

3) რაციონის რაოდენობას საზღვრავს ქალაქის სასურსათო კომიტეტი თანახმათ იმისა თუ რამდენია შემონახული პურის რაოდენობა.

4) **დაკარგულ ბარათების მაგიერი არ მიეცემა.**

5) პურის ბარათი მიეცემა მხოლოთ პატრონს საკუთარი ბინისას, მის ბარათში ჩაიწერება ყველანი ვინც, მის ბინაზე ცხოვრობენ და ერთათ სადილობენ.

შენიშვნა: 1) მოსამსახურე, ბინის დამქირავებელი და სხვანი, რომლებიც არ შედიან იმ ოჯახის შემადგენლობაში, სადაც სცხოვრობენ, მიიღებენ ბარათს დამოუკიდებლათ.

შენიშვნა: 2) თუ რომ ბინის პატრონების მხრით შემჩნეული იქმნება ბოროტ-მოქმედება იმ პირთადმი, რომლებიც მის ბარათშია შეტანილი, მაშინ მათ ბარათი წაერთმევათ.

6) ფქვილის ბარათი (საჭმელის მოსართავათ) მიეცემათ ყველა იმათ ვინც საკუთარ ოჯახობას ეწევა (სამზარეულო.)

7) ბარათები, რომლებზედაც შესწორებები და წაშლილები იქნება გაუქმდება.

8) პურისა და ფქვილის ბარათის მისაღებათ აუცილებელია წარადგინოთ იმ უბნის სასურსათო კომიტეტში, რომელშიდაც სცხოვრობთ, შაქრის ბარათი და დოკუმენტები შემოწმებულნი, მთავრობისა, საზოგადო და კერძო ორგანიზაციის მიერ, კავშირების და სხვ.

შენიშვნა: 1) ასეთ დოკუმენტებათ გამოდგებიან: პასპორტი, მეტრიკული მოწმობა, მოწმობები მთავრობისა, საზოგადო და კერძო ორგანიზაციათა, კავშირებისა და სხვ.

შენიშვნა: 2) მოწმობებში აუცილებლათ უნდა იყოს მოხსენებული ყველა ის პირები, რომელთათვის ბარათები დამზადებულია.

9) იმ შემთხვევაში, როცა იცვლება ოჯახის შემადგენლობა, აუცილებელია წარადგინოთ იმ უბნის სასურსათო კომიტეტში, რომელშიდაც სცხოვრობთ, განცხადება განსაკუთრებულ ბლანკზე, რომელთან ერთათ უნდა წარდგენილ იქნას ერთდაიმავე დროს შაქრის და პურის ბარათები ახლებზე შესაცვლელათ.

10) პურის ბარათების პატრონებმა უნდა აირჩიონ თავის რაიონში ერთი ფურნე, რომლიდანაც მუდამ უნდა წაიღონ პური.

11) პურისა და ფქვილის ბარათი იძლევა უფასოთ.

12) მთავრობისა, საზოგადო და კერძო დაწესებულებანი, ორგანიზაციები, კავშირები, კანტორები, სასტუმროები, სკოლები, ლაზარეთები და პანსიონები მიიღებენ პურისა და ფქვილის ბარათებს პირდაპირ ქალაქის სასურსათო კომიტეტიდან. ამისათვის საჭიროა წარდგენილ იქნას იმ პირთა შაქრის ბარათები, რომლებიც ამ ორგანიზაციაში თუ დაწესებულებაში შედიან, რომელნიც აღწერილ და დამოწმებულ უნდა იქნენ დაწესებულების პასუხისმგებელ პირთაგან. აღწერის ბლანკები მიეცემათ ქალ. სასურ. კომიტეტის პურის ბიუროში.

13) რესტორანები, სასადილოები, საყავეები და სხვ. საზოგადო საკვები ადგილები პურის ბარათების მისაღებათ ვალდებული არიან შემოიტანონ ქალაქის სასურსათო კომიტეტში განცხადება, რომელშიაც უნდა აღნიშნონ საშუალო რიცხვი დღიურ მუშტარებისა.

14) ფიზიკური შრომით მომუშავენი, თანახმათ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს მუშათა სექციის და ქალაქის სასურსათო კომიტეტის დადგენილებისა მიიღებენ განსაკუთრებულ ბარათებს დამატებითი პურის მისაღებათ. დამატებითი პურის ბარათები მიიღება ქალაქის სასურსათო კომიტეტის პურის ბიუროში, სადაც უნდა წარდგენილ იქნას მოწმობა პროფესიონალურ კავშირებისა და დაწესებულებათაგან, რომლებშიაც ეს პირები მუშაობენ.

(3—3) **თფილისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი.**

კვირას, 3 სექტემბერს დილის 10 საათ. (ახალ დროზე) **სახალხო სახლში** დანიშნულია **მომხმარებელთა საზოგადოება**

„ალორძინება"-ს

წევრთა წლიური საზოგადო კრება

დღის წესრიგი: 1) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენება, 2) წლიური ანგარიშის და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა, 3) გამგეობის წევრთა არჩევა; 4) წევრთა გამორიცხვა საზოგადოებიდან და 5) მიმდინარე კითხვები. დაბეჭდილი ანგარიშები წევრთ შეუძლიათ მიიღონ უმთავრეს მაღაზიაში და განყოფილებებში. გამგეობა სთხოვს წევრთ უეჭველად დაესწრონ კრებას.

გამგეობა.

კვირას, 3 ენკენისთვეს, დილის თერთმეტ საათზე, ამიერ-კავკასიის ბანკის ბინაზე (ლორის მელიქოვის ქ. № 5)

დანიშნულია თფილელ ქართველ ვაჭარ-მრეწველთა

კრება

რომელზედაც არჩეულ უნდა იქნას საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობის რწმუნებულნი.

ექიმები **დ. ი. ჟორდანია** და **ა. ა. ერიციანი**

იღებენ ავათმყოფებს შინაგან, ბავშვების, ავათმყოფობა სისხლისა, ქრონიკული მალარია, შარდის ბილებისა (ქრონიკული ტრიპერი) სიფილისი და მისი შედეგები. წამლობა ერლიხის პრეპარატებით „914" და „616" შინაგანი ვენისა სქესობრივი სისუსტე და ელექტრონით წამლობა.

მიიღებს ყოველ დღე, გარდა კვირა დღისა საღამოს 5—8 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 52 ბინა 1. (10—2)

კადეტები და კონტრ-რევოლუცია.

მოსკოვის თათბირზე კადეტები რევოლუციის წინააღმდეგ გადაჭრით ამხედრდნენ. მემარჯვენეთა მეთაურათ პ. მილიუკოვი მოგვევლინა. კადეტები რეაქციონერთა დაუკავშირდნენ. დღეს ფაქტიურათ ყველა მემარჯვენე კადეტთა პარტიის სახელით გამოდის.

გენერალ კორნილოვის ამბოხებამ პ. მილიუკოვების პოლიტიკას ფარდა სამუდამოთ ახადა. კადეტთა ცენტრალური ორგანო „რეჩი" დღეებით მთავრობას უჩივის კორნილოვს მოურიგდეს და ამ გზით სამშობლო განსაცდელისაგან დაიხსნას. მოლაპარაკებით შეთანხმება—აი საიდან მოუწოდებენ კადეტები დროებით მთავრობას. ახლა მოიგონეთ ის განგაში, რომელიც კადეტებმა ბოლშევიკთა წინააღმდეგ ასტეხეს. მათ ფრაქციას გერმანიის შტაბთან კავშირი დააბრალეს და მათ ფარული ძალდატანით ალაგმვას თხოულობდნენ. ეხლა კი აშკარა მოღალატეს თავის მფარველობის ქვეშ იღებენ! კადეტებმა ნიღაბი ჩამოიხსნეს.

ცხადია, გენერალ კორნილოვის ზურგს უკან ფარულათ იდგნენ კადეტები. ხელი გამოიჩინა [illegible] მონაწილეობა შეთქმულობაში უკვე დამტკიცდა. ახლო მომავალი კადეტთა როლს გამოაშკარავებს.

დღეს მთელი რუსეთი ორ ბანაკათ გაიყო: ერთ მხარეზე რევოლუციონური დემოკრატია მუშათა კლასის მეთაურობით, რომელიც რევოლუციის გაღრმავებას ელტვის და უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ჩამოგდებას დღიურ წესრიგში აყენებს. მეორე მხარეზე კონტრ-რევოლუციონერთა ბანაკი მემამულეთა და საგარეო სამრეწველო ბურჟუაზიის მეთაურობით, რომლის [illegible] კადეტთა პარტია გამოდის. მას ზურგს უმაგრებს რეაქციონური აფიცრობა. გენერალი კორნილოვი ამ კონტრ-რევოლუციონური რაზმის სურვილებს ასრულებს.

ამ ორ ბანაკს შორის ზავი წარმოუდგენელია, სასტიკი ბრძოლა აუცილებელია. მით უფრო საკვირველია დროებითი მთავრობის საქციელი. მან ფრონტზე მთავარ სარდლის მოადგილეთ ცნობილი რეაქციონერი გენერალი ალექსეევი დანიშნა. კორნილოვის ნაცვლად კონტრ-რევოლუციის ბელადს ნიშნავენ.

ჩვენ ფეხი შევდგით რევოლუციის ახალ ხანაში. ეს მოქალაქობრივი ომის ასპარეზია. კლასთა შორის სასტიკი შეხლა-შემოხლა იწყება. აქ ყველა რევოლუციონერს კარგად უნდა ახსოვდეს დანტონის ცნობილი სიტყვები: გამბედაობა, გამბედაობა და კიდევ გამბედაობა. რევოლუცია გაიმარჯვებს კონტრ-რევოლუციონერთა ბუდის დაუყონებლივ დანგრევით და მათ მეთაურთა ალაგმვით. აქ არავითარ დინდგოობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. სიკვდილით დასჯა ყველა აშკარა მოღალატეს და შეთქმულობის მონაწილეს! იქ, როცა წყდება რევოლუციის ბედი, დემოკრატია ვალდებულია ყოველნაირი ზომა იხმაროს კონტრ-რევოლუციონერთა დასამორჩილებლად და მათი გეგმის ჩასაფუშავად.

კონტრ-რევოლუციონერებმა მთელ ქვეყანაში თავი წამოყვეს. რევოლუციონური ორგანიზაციები ვალდებულია რეაქციონერთა წინაამდეგ ენერგიული ზომები მიიღონ და მით ხალხის საბოლოოდ გამარჯვებას ხელი შეუწყონ.

კონტრ-რევოლუციის ლიკვიდაცია.

კორნილოვის ავანტიურა, მისი ბონაპარტისტული გამოსვლა მარცხით დამთავრდა და კონტრ-რევოლუცია ჩაიხრჩო. მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ბნელმა ძალებმა, კონტრ რევოლუციონური ბურჟუაზიის მეთაურებმა ვერ მოახერხეს თავისი ფარული მიზნის სისრულეში მოყვანა და ფართო დემოკრატიას თავისუფლება ხელიდან ვერ გამოგლიჯეს.

მართალია რუსეთის დიდ რევოლუციას ომის ქარტეხილის ხანაში მოუხდა წარმოშობა და დღემდის იგი მძიმე ეკონომიურ და საგარეო პოლიტიკის ულმობელ პირობებში იმყოფება, მაგრამ ფართო დემოკრატიამ ამ ექვსი თვის განმავლობაში მოასწრო საკმარისი გათვითცნობიერება, ფართო ორგანიზაცია, რომელიც რევოლუციონური კლასებისათვის უძლიერესი ციხე სიმაგრეა და რომელსაც ვერ სძლევს ვერავითარი კონტრ-რევოლუციონური გამოსვლა.

რევოლუციისა და კონტრ-რევოლუციის გამარჯვება—თუ დამარცხება ჩვეულებრივ საზოგადოებრივი ძალთა განწყობილების შედეგია და ამ პროცესში, რომელი მიმდინარეობაც ძლიერია, რომელი მიმდინარეობაც თავის გარშემო მეტ ხალხს იკრებს—სწორეთ ის იქნება გამარჯვებული, ძლევით შემოსილი.

ამ შემთხვევაში რევოლუციის ექვსი თვის ხანგრძლიობას ფართო დემოკრატიისათვის უმნიშვნელოთ არ ჩაუვლია. ამ ხნის განმავლობაში იგი გათვითცნობიერდა, ფართო ორგანიზაციები მოაწყო და უფრო ძლიერ რევოლუციონურ არმიათ გადაიქცა, ვიდრე ის რევოლუციის პირველ ხანებში იყო. კლასობრივი პოლიტიკური დიფერენციაცია მოხდა და ყოველმა პოლიტიკურმა პარტიამ თავისი გარკვეული სახე მიიღო.

ფართო მასა ახლა უფრო აშკარათ გრძნობს, რომ მას უფლებით, უზრუნველყოფილათ ცხოვრება შეუძლია და შემოქმედებითი ნიჭი და უნარი შესწევს.

ექვსი თვის განმავლობაში მოხდა საზოგადოებრივი დაწესებულების დემოკრატიულ ნიადაგზე დამყარებული რეორგანიზაცია, ფართო დემოკრატია საქალაქო და სასოფლო საქმეების ბატონ-პატრონი გახდა და ყველგან იგი მოექცა სათავეში; საქალაქო და სამაზრო დემოკრატიულმა არჩევნებმა შეაკავშირეს ფართო მასის ძალები, ისინი დარაზმეს და რევოლუციონურ ძალებათ გადააქციეს.

ამით აიხსნება, რომ კორნილოვის კონტრ-რევოლუციონურ ავანტიურას დასაწყისშივე ბოლო მოუღო და მთელი იმპერიის დემოკრატიული ორგანოები კორნილოვის ბონაპარტიულ გამოსვლას აუმხედრდნენ.

ახლა საზოგადოებრივი ძალთა განწყობილება რევოლუციის განმტკიცების სასარგებლოთ ლაპარაკობს და ხალხიც მუშის ორგანიზაცია-გათვითცნობიერებით არის აღჭურვილი. ფართო მასის ორგანიზაცია და გათვითცნობიერება კი საუკეთესო თავდებია რევოლუციის განმტკიცებისა და უზრუნველყოფილობის. რევოლუციონური ხალხი რევოლუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლებას მაშინ შეინარჩუნებს, როცა იგი ფართო დემოკრატიის შეგნება-ორგანიზაციაზეა დამყარებული.

კორნილოვის გამოსვლამ ნათლად ჰყო რევოლუციონური დემოკრატიის სიძლიერე და მისი დაუმარცხებლობა. ამის შემდეგ რევოლუციონურ დემოკრატიის დიქტატურა გამოცხადდა და ხალხის დიდი უმრავლესობა რევოლუციის განმტკიცების ურყევ სიმაგრეთ გადაიქცა.

ეჭვს გარეშეა, ახლა კონტრ-რევოლუციონური ბურჟუაზიის კოალიციური მთავრობიდან გათიშვა, მისი დეზერტირობა და რეზერვში მოქცევა რევოლუციისთვის ისე საშიში აღარ არის, როგორც ეს აქნობამდის იყო.

შეკავშირებული და გათვითცნობიერებული დემოკრატია ახლა სახელმწიფოს მეთაურათ გამოდის და მსხვილი ბურჟუაზია მთლათ ჩამოშორდა. ახლა საზოგადოებრივი მდგომარეობა შეიცვალა და რევოლუციონური დემოკრატია მთელი ძალა უფლება ხელში აიღოს. მაგრამ საქმე ამით არ თავდება. სწორეთ ახლა დემოკრატია მოვალეა მრავალი საპროგრამო საზოგადოებრივი საკითხები დაუყონებლივ გადაჭრას და ყველა სფეროში წმინდა დემოკრატიული დეკრეტები გამოსცეს.

საფრანგეთის 1871 წლის კომუნის რევოლუციის დროს რევოლუციონურმა პროლეტარიატმა მრავალი საგულისხმიერო დეკრეტები გამოსცა და ერთის დაკვრით საუკუნოებით შემუშავებული ზოგიერთი ინსტიტუციები გააუქმა, მან გამოსცა სარწმუნოების სახელმწიფოდან გამოყოფის დეკრეტი და მით ხალხის სურვილი დააკმაყოფილა. გამოსცა სხვა დეკრეტებიც და ამ გზით რევოლუცია უზრუნველ ჰყო.

სწორეთ ახლა რუსეთის დემოკრატიას და მის რევოლუციონურ დიქტატურას შეუძლიან აქნობამდის არსებული დაბრკოლებები გადალახოს. კონტრ რევოლუციონური ბურჟუაზია ახლა მოწინააღმდეგე ბანაკში აშკარათ დაირაზმა და იგი სამოქალაქო ომისათვის ემზადება. უფსკრული გათხრილია; ორ მოწინააღმდეგე ბანაკთა შერიგება და კოალიციონურ პრინციპზე დამყარება მოუხერხებელი ხდება. მაშასადამე დემოკრატიამ უნდა ახლა გაბედული ნაბიჯები გადადგას და კონტრ-რევოლუციონური ბურჟუაზიის ყოველგვარ მოძრაობას ცეცხლით და მახვილით გაუსწორდეს. რევოლუციონურ დემოკრატიისათვის ფართო მასის ეკონომიური და პოლიტიკური სურვილების დაკმაყოფილება დაუყოვნებლივ სისრულეში უნდა იქნას მოყვანილი და აქ მიხვეულ მოხვეული გზით სიარული რევოლუციის დასუსტება იქნება. საშინაო და საგარეო საკითხები დაუყოვნებლივ უნდა გადასჭრას და მით ფართო დემოკრატიის აუცილებელი მოთხოვნები დააკმაყოფილოს. ამის მერე ბურჟუაზიის კონტრ რევოლუციონური გამოსვლა საშიში არ იქნება და ხალხის უმრავლესობა რევოლუციის ერთგული იქნება.

კონტრ-რევოლუციონერთა გამოსვლა.

პ. დ. ს.

31 აგვისტო—1 სექტემბერი.

პეტროგრადი. დროებით მთავრობის კომისარმა ფილონენკომ შემდეგი მოწოდებით მიმართა „გარეული" დივიზიის ჯარისკაცებს. თქვენ მეექვსე არმიიდან მიცნობთ და მერწმუნეთ, როცა გეუბნები, რომ გენერალი კორნილოვი თქვენ გატყუებს, მიყვებართ პეტროგრადზე ბოლშევიკების წინააღმდეგ კი არა, როგორც გეუბნებიან, არამედ—დროებით მთავრობის წინააღმდეგ. სურთ დროებით მთავრობის ჩამოგდება და ძველი წყობილების აღდგენა. არავითარმა ჩემმა მუდარამ და დარწმუნებამ გენერალ კორნილოვზე არ გასჭრა, რომ მას სამოქალაქო ომი არ დაეწყო და თქვენი სისხლი არ დაეღვარა. ჯარისკაცებო! თქვენი უფროსები მხარს უჭერენ გენერალ კორნილოვს, ისინიც თავისუფლებისა და სამშობლოს მოღალატენი არიან. ნუ დაუჯერებთ მათ. მიატოვეთ თქვენი პოლკები და წადით ცარსკოე სელოში თქვენს ამხანაგ ჯარისკაცებთან და დროებით მთავრობასთან.

მომქმედი არმია. როცა ყაზახებმა გაიგეს, თუ რაში იყო საქმე, საბრძოლველათ გამოსულნი, ისევ თავიანთ ყაზარმებში დაბრუნდნენ. ფრონტის შტაბში სრული სიწყნარეა. საზოგადოებრივი და ჯარების ორგანიზაციების სასწრაფო კრებებზე გამოტანილ იქნა რეზოლიუციები, რომლითაც მთავრობას აღუთქვამენ [illegible] დაჭერას.

დროებით მთავრობის განკარგულებით დააპატიმრეს სამხრეთ დასავლეთის ფრონტის სარდალი დენიკინი, შტაბის უფროსი მარკოვი, გენერალი ორლოვი და მეორედ გენერალი ვანკოვი. სარდლის მოვალეობას ასრულებს გენერალი ოგოროდნიკოვი.

ჟიტომირი. სამხედრო დეპუტატთა საბჭოს სხდომაზე გამოიმუშავებულ იქნა ზომები ქალაქის და რევოლუციის დასაცავათ. სახელმწიფო, ჯართა და საზოგადო დაწესებულებებს ჯარები იცავენ. დააპატიმრეს მთავარი გამგე ულენერი, მისი თანაშემწე გენერალი დავსკი და კანცელიარიის გამგე გენერალი სერგიევსკი. სამხედრო ნაწილთა, დეპუტატთა საბჭოების და სოციალისტური პარტიების კრებაზე მოისმინეს სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ჯარების კომიტეტის წარმომადგენელთა მოხსენება. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, შეთქმულობისთვის დიდი ხანია ემზადებოდნენ მთავარ ბანაკში. ბერდიჩევის ჯარები ორ მოწინააღმდეგე ბანაკათ იყო გაყოფილი. ჯარის საგრძნობი ნაწილი ჩვეულებრივ რევოლუციონურ ცხოვრებას ეწეოდა. ყაზახები და ორენბურგის პოლკი განკერძოებულათ იყვნენ. ყაზახებთან ხშირათ მოდიოდნენ ვიღაც აფიცრები და კრებებს მართავდნენ. ბერდიჩევის მეორე წარმომადგენელმა სთქვა: კონტრ-რევოლუციონერთა გამოსვლის წინა დღეებში მთავარ-სარდლის მოდარაჯე რაზმი საბრძოლველათ შეიარაღებული გამოვიდა და იარაღი გენერალ დენიკინის შტაბთან მიაშურა. ასევე მოიქცნენ ჯავშნიანი ავტომობილები და შიკრიკები, როცა შეთქმულობა გამოირკვა. ორენბურგელები გამოურკვეველ მდგომარეობაში არიან, რაღაცას ელოდებიან. ჯარების დანარჩენი ნაწილები დროებით მთავრობის მხარეზე არიან.

ადესა. ბესარაბიაში მოლდავანელებში რეაქციონური პროპაგანდა ძლიერდება. ამიტომ მოლდავანთა სამხედრო კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყვიტა მოლდავანელებისათვის მოაწყოს ლექტორებისა და აგიტატორების კურსები.

ევპატორია. დეპუტატების საბჭოთა, ქალაქის საბჭოს, ერობის და ჯარების ნაწილთა

საერთაშორისო ომი.

დასავლეთის ასპარეზზე, ჩრდილოეთ ფრონტზე რუსის ჯარმა ძალა მოიკრიბა. რიგის მიმართულებით მოწინავე რაზმები წინ მიიწევენ და უკვე რამოდენიმე სოფელი დაიკავეს. ეტყობა ჯარის სულიერი მდგომარეობა გამოკეთდა.

რუმინიის ფრონტზედაც, ოკნას მიმართულებით რუსეთისა და რუმინიის ჯარი უტევს და ზოგიერთა ადგილებში წინ იწევს.

კავკასიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

საფრანგეთის ფრონტზე მდ. მაასის რაიონში საარტილერიო სროლაა ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა.

იტალია-ავსტრიის ფრონტზე იტალიის ჯარის წინსვლა შეჩერდა. ზოგიერთ ადგილებში ავსტრიელები კონტრ-შეტევას აწარმოებენ.

წარმომადგენლების კრებამ გაჰკიცხა კორნილოვის გამოსვლა და მოუწოდა მცხოვრებთ მხარი დაუჭირონ დროებით მთავრობას. სასურსათო კომიტეტის და საბჭოთა წარმომადგენლებმა მთელი მაზრა შემოიარეს და მიწად მფლობელებს წინადადება მისცეს, რაც შეიძლება მეტი პური მიზიდონ სადგურზე ჯარებისა და ხალხისათვის.

ორიოლი. საგუბერნიო კომიტეტმა დეპეშით აცნობა კერენსკის, რომ ჯარი მზადაა მხარი დაუჭიროს დრ. მთავრობას. აკრძალეს მიტინგები და კრებები. ფოსტა-ტელეგრაფ-ტელეფონს სასტიკ თვალ-ყურს ადევნებენ, რომ კორნილოვის დეპეშები გაშვებულ არ იქნას.

ჰელსინგფორსი. ადგილობრივ ჯარებში და ფლოტში სრული სიწყნარეა. სვეაბორგის ციხის ჯარებშიც სიწყნარეა. მეზღვაურებმა და ჯარისკაცებმა გადასწყვიტეს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან სამშობლო და რევოლიუცია მოღალატეთაგან. მთელი შეიარაღებული ძალა რევოლიუციონურ კომიტეტების განკარგულებაშია, კომიტეტს ყველა ნაწილებში თავისი კომისარები ჰყავს. მარინეს სასახლეს ჯარები იცავენ, ვინაიდან იქ განუწყვეტელი კრებებია.

ყაზანი. რევოლიუციონური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სამხედრო-სამრეწველო კომიტეტი და ჯარის ნაწილები დროებით მთავრობას დახმარებას აღუთქვამენ კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში.

მოსკოვი. საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე საჭიროდ სცნეს შექმნან 5 პირისაგან შემდგარი საგანგებო აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც მთელი ძალაუფლება მიენიჭება კონტრ-რევოლიუციონერთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

პეტროგრადი. პეტროგრადის გენერალ-გუბერნატორმა სთხოვა იუსტიციის მინისტრს, რათა მან დაჩქარებით გაარჩიოს ის საქმეები, რომლებიც სამხედრო წესების გამო ზოგიერთი გაზეთების წინააღმდეგ არის აღძრული.

დასავლეთის ფრონტის კომისარი ქდანოვი ატყობინებს მთავრობას, რომ ჯარი მთავრობის მხარეზეაო.

პეტროგრადის სამხედრო ოლქის უფროსათ დაინიშნა გენერალი ტეპლოვი.

მოსკოვის სამხედრო ოლქის უფროსი პოლკოვნიკი ვერხოვსკი დაინიშნა სამხედრო სამინისტროს გამგეთ. მას ებოძა გენერლობა.

30 აგვისტოს შესდგა შეერთებული სხდომა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებისა. კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ მებრძოლი კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა დანმა. მან აღნიშნა, რომ კომისიამ ყოველივე ზომები მიიღო, რათა კადეტების პარტიას და გენერლობას ძალდატანება არ მოეხდინა მთავრობაზე, გაარჩია რამდენიმე სამხედრო ხასიათის საკითხები. ზომები მიიღო, რათა აფიცერთა და ჯარისკაცებს შორის არსებულ გამწვავებულ მდგომარეობას არასასურველი შედეგი არ მოყოლოდა. კომისიის მიერ მიღებული ზომები სამხედრო მინისტრმა მოიწონა. ამ დღეებში დემოკრატიამ უდიდესი საქმე გააკეთა ქვეყნის დახსნის საქმეში. შრომის მინისტრმა სკობელევმა განაცხადა, რომ კორნილოვის კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლა მოსპობილია. მთავარი ბანაკი დაყენებულია წინააღმდეგობის გაუწევლად. ახლა მომავალში ჯარის მართველობის საქმეში დიდი ცვლილება მოხდება. მთავრობა რევოლიუციონურ დემოკრატიასთან შეთანხმებით მოქმედებდა, მაგრამ კონტრ-რევოლიუციაზე გამარჯვებამ არ უნდა დაგვაძინოს. მოსალოდნელია კონტრ-რევოლიუციონერთა ახალი გამოსვლა. ამის მაგალითს გენერალი კალედინის მოქმედება იძლევა. მთავრობამ გადაჭრით გადასწყვიტა ჩაახშოს კორნილოვის აჯანყება. ჯერ ერთი წვეთი სისხლიც არ დაღვრილა. მთავრობა ამ ბრძოლაში გამაგრდა, მაგრამ საჭიროა მასში რამდენიმე ცვლილების შეტანა. მინისტრმა სთქვა, რომ სამხედრო სამინისტროს გამგეთ გენერალი ვერხოვსკი დაინიშნა, საზღვაო მინისტრათ—ადმირალი ვერდერევსკი. შეეხო რა მთავრობის შემადგენლობას, სკობელევმა აღნიშნა, რომ კოალიცია კაბინეტის ხალხის იდეების ნაყოფი არ არის, მაგრამ ამ კაბინეტში ადგილი არ ექნებათ იმ პარტიებს, რომლებსაც ასე თუ ისე კავშირი ჰქონდათ კორნილოვთან. (ხმები: დაასახელეთ პირდაპირ). ის პარტია, რომელმაც თავის ორგანოს ფურცლებზე განაცხადა, რომ კორნილოვი რეალური ძალაა და მას აუცილებლათ ანგარიში უნდა გაუწიოსო, მთავრობაში ადგილს ვერ მიიღებს, ვინაიდან მთავრობაში არ შეიძლება იყოს ისეთი პირი, რომელიც ეჭვების ქვეშ იმყოფება. მხოლოდ ესეთ მთავრობას შეეძლება იმ წყლულების მორჩენა, რომლითაც ამ ჟამად რუსეთი დასნეულებულია და დემოკრატიული იდეალების განხორციელება. სკობელევის შემდეგ ილაპარაკა შინაგან საქმეთა მინისტრმა ავქსენტიევმა. მან აღნიშნა, რომ კორნილოვის აჯანყების წყალობით სამი დღის განმავლობაში მთავარმა ბანაკმა უხელმძღვანელოთ დასტოვა ფრონტი და ჯარსაც თავის დასაცავი საშველება არ ჰქონდა მტრის შემოტევის წინააღმდეგო. (ხმები მოისმის „ზიტლი მასო“). თუ მთავრობამ შექმნილი მდგომარეობის გამო საგანგებო დასჯის წესები აღადგინა, ეს ახლა უნდა იხმაროს კორნილოვის წინააღმდეგ, რომელიც ასე ენერგიულათ იცავდა სიკვდილით დასჯასო. სასჯელის საბოლოოდ გადაწყვეტა რევოლიუციონური სასამართლოს საქმეა, მაგრამ დროებითი მთავრობა დასჯილთა სასჯელის შემსუბუქებაზე არ ფიქრობს. (ტაში) აჯანყება ჯერ არ ჩამქრალა. კორნილოვის მსგავსად გენერალი კალედინი ცდილობს დონის ოლქში აფრიალოს აჯანყების დროშა. ამას შვრება ის ხალხი, რომლებიც მოსკოვის თათბირზე ასე ბევრს ლაპარაკობდენ სამშობლოს სიყვარულზე. ახალი მთავრობის შესახებ მინისტრი ამბობს: მთავრობაში ადგილი არ ექნება იმათ, რომლებიც თავის დროზე არ გამიჯნენ აჯანყების მომხრეთ და არც იმათ, რომლებიც წინადადებას იძლეოდენ აჯანყებულ გენერალთან მოლაპარაკება გაგვემართა. აღსანიშნავია, რომ ეს ხალხი საზოგადოთ ბევრს ლაპარაკობს უფლებასა და კანონიერებაზე, მაგრამ სწორედ ეს ხალხი გვირჩევდა იმ გენერალთან მოლაპარაკების გამართვას, რომელმაც ფეხ ქვეშ გათელა კანონიც და უფლებაც და აფრიალა აჯანყების დროშა. შემდეგ ლაპარაკობს წერეთელი. ის ამბობს, რომ კონტრ-რევოლიუციაზე გამარჯვება დემოკრატიის ყველა ძალების გაერთიანების წყალობით მოხდა. მთელი ქვეყანა ჩამოეცალა კორნილოვს და მიემხრო რევოლიუციონურ დემოკრატიას. შემდეგ ის აღნიშნავს, რომ კოალიციის იდეა სწორი გამოდგა, ის უნდა დაცულ იქნას, მაგრამ საჭიროა იმ ელემენტების ჩამოშორება, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვა მთავრობას. საჭიროა მთავარი ბანაკის ისეთი პირებისაგან გაწმენდა, რომლებიც კორნილოვს მხარს უჭერდენ, საჭიროა საგანგებო საგამომძიებლო კომისიის დაარსება, რათა გამოძიებულ და ძირ ფესვიანად აღმოფხვრილ იქნას კორნილოვის შეთქმულობა. აუცილებლად საჭიროა ერთი მთლიანი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც შეაკავშირებს მთელს დემოკრატიას, საჭიროა როგორც ჯარების ისე ზურგის ყველა დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირის მოწვევა. საჭიროა რევოლიუციონური დემოკრატიის რევოლიუციონური შეკავშირება, რომ დაცულ იქნას ქვეყანა შინაურ და გარეშე მტერთაგან. დაბოლოს ის მოუწოდებს დაცულ იქნას დემოკრატიის მთლიანი ფრონტი, მხარი უნდა დაუჭიროთ დროებით მთავრობას და მეოთხე სახელმწიფო დუმაც დათხოვნილ იქნასო.

დეპეშები.

(პ. დ. ს.)

აეროპლანები.

სტოკჰოლმი. 29 აგვისტო. ფიქრობენ მოაწყონ შვეციის და ფინლანდიის შორის ჰაეროპლანებით მიმოსვლა და ფოსტის გადატან-გადმოტანა. მგზავრთათვის განზრახულია 4 ან 6 ადგილიანი ჰაეროპლანის მოწყობა. სტოკჰოლმიდან პეტროგრადამდის გზას გაივლიან 23—28 საათს.

კორნილოვის გამოსვლის გამო.

მინსკი. 30 აგვისტო. ფრონტიდან დაბრუნებული კომიტეტის წევრები ამბობენ, რომ დამკვრელნი ბატალიონები სამხრეთის ფრონტისა დროებითი მთავრობის მხარეზე არიან და კორნილოვის გამოსვლას კიცხავენო.

ამერიკელთა დელეგაცია რუსეთში.

ნიუ იორკი. 30 აგვისტო. ჩრდილო-ამერიკის ც. კ. მუშათა დემოკრატიული ლიგის წევრმა დჟონ სტარგომ განაცხადა, რომ მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწენი, ქალი და კაცი მიემგზავრებიან რუსეთშიო, რადგანაცო, სთქვა სტარგომ—რუსეთს ესაჭიროება გამოცოცხლება. ჩვენ რუსეთელ მუშებს გაუგზავნით დელეგაციას, როგორც მათი ამხანაგები ინტერნაციონალისტებიო.

გემის დაჭერა.

კოპენჰაგენი. დანიის და ამერიკის შუა მავალი გემი „ოსკარი“ 600 მგზავრით და სურსათით გააჩერა ამერიკის მთავრობამ ნიუ-იორკის ნავთსაყუდელში.

ქურთისტანელთა ყრილობა.

თეირანი. 30 აგვისტო. სონეს მახლობლად შესდგა 27 ტომის ქურთისტანელთა ყრილობა. თავმჯდომარეობდა სერდარ-რეშიდი. ყრილობას დაესწრო გენერალი შარათოვი, შტაბის წევრებით. ყრილობაზე ხელი მოაწერეს რუსების და ქურთისტანელების შეთანხმებას. აღიარებულია ყველა თემების გაერთიანების პრინციპი და სპარსეთის ხელ უხლებლობა. მიღებულია მეგობრობა თავისუფალი რუსეთთან. ყრილობას დიდ მნიშვნელობას აწერენ.

ქურდობა.

მოსკოვი. გაქირავების ერობის კავშირის საწყობი, წაიღეს 40,000 მ.ნ. და გურიევის და სერგეევის საწყობი, აქედან წაუღიათ 150000 მანეთი.

ყაზახები.

მოსკოვი. 30 აგვისტო. მოსკოვის ოლქის ჯარების უფროსმა პოლკოვნიკმა ვერხოვსკიმ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა კალედინს: „ფრონტიდან ბრუნდებიან ყაზახების ეშელონები. ეს იმ დროს, როდესაც მტერმა გაარღვია ფრონტი და პეტროგრადისკენ მოდის. მე მაცნობეს, რომ ყაზახებს დაუკავებიათ სადგური პოვორინო. მე არ მესმის რას ნიშნავს ეს. თუ ყაზახები რუსეთს ომს უცხადებენ—მაშინ მე იძულებული ვარ გაგაფრთხილოთ—კორნილოვის მიერ დაწყებული სამოქალაქო ომის წინააღმდეგ მთელი რუსეთი და მომქმედი ჯარი წავა და დაიცავს დრ. მთავრობას. ამიტომ მოსკოვის ოლქში ყაზახების შემოსვლას ჩემს ნებადაურთველათ—მე ვხსნი, როგორც აჯანყებათ დრ. მთავრობის წინააღმდეგ და დაუყონებლივ გავცემ ბრძანებას ზომების მისაღებათ, როგორც იციით ძალები საკმარი მყავს. მოუთმენლათ მოველი თქვენს პასუხს.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. 31 აგვისტო. რიგის მიმართულებით ჩვენი მოწინავე რაზმები მდ. ინხულე-ცვეზენჰოფ-პასკვე-ზეგეგოლდე-ლეპელადე ბაიარის ბრძოლის ხაზზე პოზიციებს იმაგრებენ. იაკობშტადტის რაიონში მოწინავე რაზმები იბრძვიან. ვიდზის სამხრეთით ჩვენმა ბატარეებმა მტრის პოზიციებს ყუმბარები დაუშინეს და იქ [illegible].

რუმინიის ფრონტზე, ქ. რადაუცის სამხრეთით, სოლკას სამხრეთით ჩვენმა ჯარმა ერთი მაღლობი დაიკავა. აქ ტყვეთ წამოიყვანა ავსტრიის 400 ჯარისკაცი და 12 აფიცერი.

ოკნას დასავლეთით, სლონიკის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარმა მაღლობი დაიკავა, მაგრამ კონტრ-იერიშების მეოხებით მტერმა მაღლობი კვლავ უკან დაიბრუნა.

კავკასიის ფრონტზე ჩვეულებრივი სროლაა.

პეტროგრადი. 31 აგვისტო. რიგის მიმართულებით ჩვენი მოწინავე რაზმები ბრძოლას განაგრძობენ და წინ მიიწევენ. ზღვის ნაპირას ჩვენ დავიკავეთ სოფ. კულიგი. პსკოვის გზატკეცილის სამხრეთით ლატიშელთა ბატალიონმა სოფ. პელნე აიღო. ამის შემდეგ ლატიშთა ბატალიონმა რენცეის სამხრეთით წინ წაიწია. ჩვენმა მოწინავე რაზმებმა მო[illegible] ბერგეცის ფაკენ-დესურუმის-შზეროუნის-მინტონსის ბრძოლის ხაზი დაიკავეს. დანარჩენ ფრონტზე სროლაა.

პარიზი. 30 აგვისტო. რეიმსის აღმოსავლეთით და მეზონ დე-შამპანის რაიონში გერმანელების პოზიციას თავს დაესხით და იქიდან ტყვეები წამოვიყვანეთ. მდ. მაასის მარჯვენა ნაპირას, დღუოსისა და კარიერის ტყის ნაწილებში მტრის კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ და მოწინააღმდეგე მძიმე პირობებში ჩავაყენეთ. ზოგიერთა ადგილებში ბრძოლა გრძელდება. სასტიკი საარტილერიო ბრძოლაა მდ. მაასის მარცხენა ნაპირებთან.

პარიზი. 30 აგვისტო. ბელგიის ფრონტზე, დრიგრასტენის მიდამოებში, გაცხარებული საარტილერიო სროლაა. შამპანში, სენ სუპლეს აღმოსავლეთით, გერმანელების პოზიციებზე იერიშები მივიტანეთ და სანგრების სამი წყება დავიკავეთ. ტავიურის ჩრდილო-აღმოსავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. იერიშები მოვიგერიეთ აგრეთვე მდ. მაასის მარჯვენა ნაპირებთან.

რომი. 29 აგვისტო. მთელ ფრონტზე საარტილერიო ბრძოლაა. გორიცის ტბის დასავლეთით მტერმა ხანგრძლივ საარტილერიო სროლის შემდეგ იერიშები მოიტანა და ჩვენი პოზიციების წინა ნაწილები დაიკავა, მაგრამ მალე კონტრ-იერიშები მივიტანეთ და დაკარგული ადგილები უკანვე დავიბრუნეთ. ტიმევოს ველზე მტრის იერიშები შევაჩერეთ.

ლონდონი. 31 აგვისტო. საფრანგეთის ფრონტზე, არიეკურის აღმოსავლეთით ბრძოლა სწარმოებს. ბიულეკურის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ლომბარძაიდის სამხრეთით მტრის პოზიციებზე იერიშები მივიტანეთ და მტრის ხაზი მივაყენეთ. იპრის გასწვრივ, ნევშაპელის მიდამოებში საარტილერიო სროლაა.

რომი. 31 აგვისტო. ვანოიცას მთაგორიან ადგილებში განსაკუთრებით გორიცის ჩრდილო აღმოსავლეთით მტერმა ჩვენს პოზიციებს ზარბაზნების ყუმბარები დაუშინეს და შემდეგ იერიშები მოიტანეს. მაგრამ ჩვენ მტრის იერიშები მოვაგერიეთ.

გერასიმე

(ეტიუდი)

დამშეულია ქვეყანა ჩემი,
ცრემლსა მგვრის ხალხის ცრემლის
ყურება...
სოფელს ყორანი დასჩხავის თავზე,
სოფელს სიკვდილი ეხმაურება.

გ. ქუჩიშვილი.

I.

მიტინგი დაიშალა...

გახარებული, სახე გაბრწყინებული გაეშურა გერასიმე სახლისაკენ. წინათ თუ ჯოხ-დაუბჯენელი ორიოდე ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა ის, ეხლა თავისი განუშორებელი ყავარჯენი იღლიაში ამოიჩარა და საკმარისათ წელში გამართული აჩქარებით მიაბიჯებდა.

— რა დღეს მოვესწარი, ღმერთო ჩემო!.. სიზმარი ხომ არაა ყველაფერი ეს? ნუ თუ მართალია, რაც გვითხრეს დღეს? ეკითხებოდა გერასიმე თავის თავს და თვითონვე ღიმილით აძლევდა პასუხს.

— აბა რა იქნება. განა მე არ ვიცოდი, რომ ერთობა კიდევ დაბრუნდებოდა? ვგრძნობდი ამას თავიდანვე და ამიტომაც არასოდეს გული არ გამიტეხია. როგორც სჩანს, საქმე ეხლა უფრო კარგათ არის, ვიდრე წინეთ იყო. დიახ, დასაჯერებელია, რაც დღეს მქადაგებლებმა გვითხრეს. ყველაფერი მართალია. ერთობის ხალხმა ტყუილი არ იცის. ღმერთმა უშველოს მათ. იქნება რამე ეღირსოს საწყალ ხალხს, ბარემ დროც არის... ბუტბუტებდა გზაში მიმავალი გერასიმე და თან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, იჩქაროდა სახლში მალე მისულიყო და თავისიანებისთვის ეუწყებინა დიდი ახალი ამბავი...

კვირაზე მეტი იყო, რაც სოფლათ არაჩვეულებრივი ხმები დადიოდა. იძახდენ ჯერ ჩუმათ, გაუბედავათ, შემდეგ კი აშკარათ, რომ რუსეთში დიდი რევოლიუცია დაიწყოთ, მეფე ნიკოლოზი ტახტიდან ჩამოაგდეს და ციხეში დაამწყვდიესო და სხვა ასეთებს. პირველ ხანებში ბევრს არ სჯეროდა ეს ხმები, თუმცა სოფლის სულიერი მდგომარეობა შესამჩნევათ მაღლა იწევდა, მთელი სოფელი შორგავდა და მოსალოდნელი იყო ამ ხმებით გამოწვეული იმედი და ჟრიამულობა ხალხს ხმამაღლა გამოეთქვა და თავისი ფარული ზრახვანიც უშიშრად გამოეზიარებინა. მართალი, დაწვრილებითი ამბის გაგება უნდოდა ყველას და ამ მიზნით კოოპერატივის, სამმართველოს, სკოლის და დუქნების წინ ხალხი თავს იყრიდა და იქ ერთი-მეორეს უზიარებდენ სოფლელები თავიანთ ნაფიქრ-ნააზრევს. მალე მთელ სოფელს გამოუცხადეს: ხვალ დიდი კრებაა სამმართველოს წინ და ყველანი მოდითო. სოფელსაც ეს უნდოდა. მართალია, ზოგიერთებს ახსოვდათ პირველი მოძრაობის ამბები: ყაზახების თარეში სოფლათ, მათი მათრახები და ამიტომ შიშობდენ კრებაზე წასვლას, მაგრამ კრებას მაინც თითქმის მთელი სოფელი დაესწრო და რაც ამ კრებაზე მოისმინეს, დიდხანს დარჩება სოფლის ხსოვნაში.

— თავისუფალნო მოქალაქენო! ბედნიერო ხალხო! დაემხო ტახტი ბატონობისა. აღარ არის მტარვალი მეფე. დღეიდან აღარ არის ბატონი და ყმა. ყველანი თავისუფალნი ვართ. [illegible] გამარჯვებას. დღეიდან ჩვენი თავის ბატონ პატრონი თვითონ ჩვენა ვართ. გაუმარჯოს ხალხს, გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, გაუმარჯოს ჩვენს საბოლოო მიზანს—სოციალიზმს! იძახდენ ორატორები და რუსეთში მომხდარ ამბებს აცნობდენ სოფელს. ხალხიც გახარებული საპასუხოთ გუგუნებდა: გაუმარჯოს, გაუმარჯოსო. თუმცა ეჩვენებოდა, რომ ეს საერთო სიხარული ყველას ვერ გაეგო ხეირიანად. მართალია, სოფელი მოელოდა ერთობის გამარჯვებას. ის ყოველთვის გრძნობდა, რომ ოდესმე მისთვისაც გათენდებოდა რიგიანად და თავისუფლების ნეტარი სხივი ადრე თუ გვიან მოადგებოდა ჩამოდამბეულ ქოხს, მაგრამ არავინ კი მთელს სოფელში არ მოელოდა, რომ ეს თავისუფლება ასე მალე მოვიდოდა და გამარჯვება ასე დიდი იქნებოდა. ეს მოულოდნელი ზედმეტი სიხარული აბრუებდა სოფელს, ათრობდა მას და გზას გაკვლევას უძნელებდა.

როცა მეტს ლაპარაკობდენ ორატორები, იმდენათ სოფელი უფრო იგებდა საქმის მდგომარეობას და ნდობით ეკიდებოდა მოსულ ამბებს, მაგრამ როდესაც ერთობის ხალხი ლაპარაკიდან საქმეზე გადავიდნენ—მაშინ კი ეჭვი არავის დარჩა, რომ რევოლიუციის გამარჯვების ამბავი მართალი იყო.

იქვე საჯაროთ ჩამოხსნეს მამასახლისს ჯაჭვი და გამოუცხადეს, რომ ეს აწი საჭირო არ იყო. დაატუსაღეს ერთი „სტრაჟნიკი“, რომელსაც ერთობის კაცის მოკვლას აბრალებდენ. გადააყენეს სხვა მოხელეები და ხალხმა კომიტეტი აარჩია. კომიტეტმა ჩაიბარა სოფლის ყველა საქმეები და იმ წამსვე დაიწყო მუშაობა. რამდენიმე საათის განმავლობაში სოფელი ერთიანად გამოიცვალა და დიდს და პატარას სიხარულით ეცინოდათ თვალები. კრების ბოლოს გაისმა გამამხნევებელი გუგუნი: „ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ წესებსო“... და ამ ხმებმა კი სულ ახალი იმედი, ახალი ცხოვრების სურათი გადაუშალა თვალწინ სოფელს და ბედნიერების წუთები აგემა ყველას.

იშვიათია ხოლმე ასეთი წუთები ხალხის ცხოვრებაში! მთელი სოფლის სიხარულს განიცდიდა გერასიმე. არავის ისე ღრმათ, მთელი თავისი არსებით არ უგრძვნია დღევანდელი დღის სიდიადე, როგორც მას და არავის მთელ სოფელში იმდენი იმედები არ დაუმყარებია განახლებულ ცხოვრებაზე, როგორც გერასიმეს. ამიტომ იყო, რომ ის ერთ წუთში რამოდენიმე წლით გაახალგაზრდა, წელში გაიმართა და, როდესაც დაწყებული სიმღერის ხმები ისევ მოესმა—თვითონაც ამღერდა, არა ხმით, რადგან ხმა არ წყალობდა გერასიმეს—არამედ მთელი თავისი ბუნებით და იქ, სადღაც შორს გულის სიღრმეში, ვაჟკაცურად იმეორებდა ძლევის ხმებს.

— რა კარგია! ნეტავ სულ ეს ხმები ისმოდეს ჩვენს სოფელში, მუდამ დაუსრულებლივ. მაშინ ადგილი არ ექნება ტანჯვა-ვაებას. ასეთი სიმღერა ბედნიერ, სიცოცხლით დამტკბარ ხალხს შეუძლია მხოლოდ. ჩაილაპარაკა გერასიმემ და გზას გაუდგა.

II.

დაღლილი, გაოფლიანებული გერასიმე დიდის ამბით შევიდა სახლში და სანამ ქუდს მოიხდიდა, ჩოხას გაიძრობდა—ნაწყვეტ ნაწყვეტ უამბობდა თავის რძალს ეფროსინეს მიტინგზე ნახულ-გაგონილს. შემდეგ, როდესაც ცოტაოდი სული მოითქვა, უფრო დაწვრილებით მოუყვა ამბავი და შიგადაშიგ თავის მოსაზრებასაც უმატებდა. თავისებურათ აფასებდა ის მომხდარ ამბებს და იმედს გამოსთქვამდა, რომ მალე მოეღებოდა ბოლო ამ დაუსრულებელ ომს და მათ უმწეო მდგომარეობასაც.

— ჰე, მადლობა ღმერთს! რაკი ერთობამ ასე გაიმარჯვა, ომი უსათუოთ შეწყდება და ჩვენი მალხაზიც მალე დაბრუნდება. განაგრძო ეფროსინემ გერასიმეს ფიქრი. ერთობის ხალხი მუდამ ომის, სისხლის ღვრის წინააღმდეგნი იყვნენ და აბა, აწი ვინ განაგრძობს ომს თუ ყველაფერი მათ ხელშია. ჩვენი კაცებიც დაბრუნდებიან სახლში და დაუსრულებელ შიმშილს, ათასნაირ გასაჭირს ბოლო მოეღება სამუდამოთ.

— აბა როგორ იქნება. გააწყვეტინა სიტყვა გერასიმემ. განა გაუძლებდა ხალხი ამდენს, ენით გამოუთქმელ ტანჯვა-წვალებას? აკი ვერ გაუძლო და მეტი გაჭირვების გამო ერთხმათ დაიძახა: ძირს მტარვალებო, მოგვშორდითო—მოგვეცალეთო. გვეყო რაც ტყავი გვაძვრეთ და ჩვენს ზურგზე ითამაშეთო. და ხალხის ეს ძახილი ისეთი მძლავრი, მედგარი გამოდგა, რომ თვით დიდი მეფის ტახტმაც ვერ გაუძლო და დაილეწა, განიავდა, ძლიერია ხალხის რისხვა, როდესაც ეს აუცილებელ მოთხოვნილებით არის შობილი, სულგრძელია ხალხი, მაგრამ მის მოთმინებასაც საზღვარი აქვს...

გერასიმე გატაცებით ლაპარაკობდა. ის იგონებდა ზოგიერთ ორატორების ნათქვამს დღევანდელ მიტინგზე, თავის აზრსაც აქა-იქ უმატებდა და თავდავიწყებით განაგრძობდა სიტყვას. მას უსმენდენ: რძალი მისი ეფროსინე და ორნი ქალ ვაჟნი შვილის-შვილები.

ეფროსინეს არ ახსოვს გერასიმე ასე ალაპარაკებული და აღელვებული. ის გაკვირვებით უსმენდა მას და თან შიშობდა: ავათ არ იყოსო. გერასიმემ გაათავა სიტყვა და მძიმეთ დაეშვა სკამზე. ეტყობოდა ის ძალზე დაღლილიყო და სულის თქმა უჭირდა.

— ბაბუ, მამა მართლა მოვა? შეეკითხა მას პატარა კაკი და მუხლებზე მოეხვია.

— მოვა, მოვა, ბაბუ,—მამაც მოვა და ძიაც. ისინი ყანებს გათოხნიან, სახლს შეაკეთებენ და თქვენც მშიერ-შიშველნი აღარ იქნებით. ბოლო მოეღება ამ დაუსრულებელ სიმშილს. ისინი ახალგაზრდები არიან, ძლიერნი. მუშაობა შეუძლიათ და წასაქცევათ გამზადებული ქოხი წელში გაიმართება, გასწორდება. ოჰ, ჩემო ბიჭიკო, ბედნიერი დღე გვეთენდება. ხალხი მოესწრო ისეთს რამეს, რასაც ჩუმი ფიქრებით ატარებდა მრავალ წლების განმავლობაში. ერთობამ გაიმარჯვა, ბაბუა და (ცხვენზე*) დამალული ხალხის საყვარელი წითელი დროშაც ამაყათ აფრიალდა. გაუმარჯოს ამ დროშასო, იძახდენ დღეს მქადაგებლები და ჩვენც ვსთქვათ, ბიჭიკო, გაუმარჯოს, გაუმარჯოს-თქო.

გერასიმე დიდხანს ლაპარაკობდა კიდევ. ლაპარაკობდა ისე, როგორც კი შეეძლო შრომა-ტანჯვით დასუსტებულ და მოულოდნელ სიხარულით აღგზნებულ ადამიანს. იმისთვის სულ ერთი იყო, უსმენდენ მას თუ არა. ის თავის ფიქრებს ხმამაღლა გამოსთქვამდა—თავის თავს ებაასებოდა. და როდესაც გერასიმე ოდნავ დაწყნარდა—მოეშვა, საშინელი დაღლილობა იგრძნო. მცირე, თავის მისატყუებელ სადილის შემდეგ ის ჩვეულებისამებრ ხის ქვეშ გაგორდა დასასვენებლათ, მაგრამ მოხუცის ოცნება იმდენათ იყო გადიზიანებული, რომ ძილი არ მოეკარებია მას.

III

გერასიმეს ასეთი სიხარული ერთობის გამარჯვებით გამოწვეული გასაგებია—თუ კი ზერელეთ მაინც გადავავლებთ თვალს ცხოვრების იმ პირობებს, რაშიაც ის მოემწყვდა ბოლო დროს.

ომის დაწყებამდე, გერასიმეს უფროსი ვაჟი დაცოლშვილიანებული მალხაზი,—ოჯახს დასტრიალებდა თავს. გერასიმე თავისი გამოცდილებით, დარიგებებით ეხმარებოდა ოჯახს, მალხაზი კი ჯანით, მუშაობით. რძალი ეფროსინე ჰყვიანი, ოჯახის და ქმარ შვილის მოყვარული ქალი გამოდგა და ყველანი ერთად ზრუნავდენ ოჯახის კეთილდღეობისათვის, საერთო, შეთანხმებული მუშაობა იყო იმის მიზეზი, რომ გერასიმეს ოჯახი ღონივრად გამოიცქირებოდა. ოჯახს არ აკლდა შეშა, სიმინდი, ბაღჩეულს და საერთოდ ყველას ტანისაცმელ-სახურავი და სხვა ბევრი ისეთი

---

*) ცხვენი—სახლის სახურავის ქვედა ნაწილი.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 7 საათზე ბიუროს ბინაზე (გოლ. პრ. № 12) დანიშნულია რ. ს.-დ. მ. პ. თფ. კომიტეტის წევრთა კრება. რადგანაც სერიოზული კითხვებია გასარჩევი, საჭიროა ყველა წევრების დასწრება.

◆ **კავკასიის დროებითი რევოლიუციონური კომიტეტი.** 30 აგვისტოს ამხ. ევგენი გეგეჭკორის თავმჯდომარეობით შესდგა კრება მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის წევრებისა. კრებამ იქონია მსჯელობა გენ. კორნილოვის გამოსვლის გამო შექმნილ მდგომარეობის შესახებ და დაადგინა შექნას კავკასიის დროებითი რევოლიუციონური კომიტეტი. კომიტეტის შედგენა თავის შეხედულებით მიენდო ამხ. ევგენი გეგეჭკორს. ვინაიდან მეტად საშიში დრო დადგა და თავისუფლება საფრთხეში ჩავარდა, კრებამ დაადგინა ხსენებული კომიტეტი იქნას აღჭურვილი კავკასიაში სრული უფლებებით. 30 აგვისტოსვე, საღამოს 6 საათ. მოხდა კიდეც ამხ. ევგ. გეგეჭკორის თავმჯდომარეობით კომიტეტის კრება. კომიტეტში შედიან მენშევიკების, ბოლშევიკების, სოციალისტ-რევოლიუციონერების, ფედერალისტების, დაშნაკელების და ყველა რევოლიუციონურ ორგანიზაციების წარმომადგენელნი, კრებამ აირჩია კომისიები: სამხედრო საქმეთა, სამოქალაქო საქმეთა და დამნაშავეთა დამტყვევებელი; აირჩიეს აგრეთვე კომისარები ყველა ბრძოლის ველზე მყოფ კორპუსებში გასაგზავნათ. 30 აგვისტოს ღამით კომიტეტის განკარგულებით დაატყვევეს რამდენიმე პირი, რომლებსაც ბრალდებათ კორნილოვის მიერ მოწყობილ შეთქმულებაში მონაწილეობა. მომხდარ ჩხრეკიდან დამტკიცდა, რომ სამხედრო გადატრიალებისათვის ემზადებოდნენ. გამოძიება სწრაფად სწარმოებს. კომიტეტმა დაადგინა ყოველ დღე გამოსცეს ბიულეტენი—ცნობა დღევანდელი მდგომარეობის შესახებ. პირველ ბიულეტენში კომიტეტი სწერს. „საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ აჯანყების ჩაქრობა დასასრულს უახლოვდება. პეტროგრადიდან მავთულით მიღებულ ცნობებით, პეტროგრადში სულიერი განწყობილება კარგია"-ო.

◆ **ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტმა** გენ. კორნილოვის გამოსვლის გამო ყველა გუბერნიის და ოლქის კომისარებს დაუგზავნა შემდეგი დეპეშა: „გენერალ კორნილოვისა და მისი მოხმარეების გამოსვლამ ძმათა შორის სამოქალაქო ომის საშინელების წინ დააყენა ქვეყანა, რომელიც მძიმე მდგომარეობაშია ჩავარდნილი გერმანელთა შემოტევის გამო. მიღებულ ზომებით დროებითი მთავრობა აქრობს აჯანყებას. აჯანყების დასასრული ახლა უკვე მოახლოვებულია. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა, რომელიც მოქმედობს ცხენოსანი ჯარის მთავარ სარდლისა და რევოლიუციონურ ორგანიზაციების გამოსვლების თანახმად, მიმართა მინისტრ-თავმჯდომარეს და აცნობა, რომ იგი მზად არის ყოველივე საშუალებით მხარი დაუჭიროს დროებით მთავრობას ერთ და იმავე დროს გარეშე მტერთან და კონტრ-რევოლიუციონერებთან მძიმე ბრძოლაში. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტი დარწმუნებულია, რომ დროებითი მთავრობა მალე მიიღებს თქვენდგან დასტურს, რომ თქვენდამი რწმუნებული რაიონების მცხოვრებნი მას უჭერენ მხარს. მიმართეთ მაზრის კომისარებს და მცხოვრებთ მოწოდებით, დაიცვან სრული მშვიდობიანობა და დროებით მთავრობის და მისი ორგანოების მორჩილება.

◆ **ქალაქის თავის ამხანაგი გ. ნათაძე** თავს ანებებს თავის თანამდებობას.

◆ **ახალი გაზეთი.** გამოვიდა ახალი გაზეთი „სიმართლის გზა" ი. ჭყონიას რედაქტორობით.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 7 ს., პეტრე დიდის ქუჩაზე, № 18, შესდგება კრება პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატისა და პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლების კონფერენციის მომწვევ საორგანიზაციო კომისიის წევრებისა. კრების მიზანია კონფერენციის დღის წესრიგის გამომუშავება.

— კვირას, დილის 10 ს., კინემატოგრაფ „მულენ-ელექტრიკი"ს საზაფხულო შენობაში დანიშნულია ელექტრონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა კრება.

— მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომა მოხდება კვირას, 3 სექტემბერს, დილის 11 საათზე სახალხო სახლში.

— დღეს, საღამოს 9 საათზე, სასულიერო სემინარიის ძველ შენობაში დანიშნულია აფთიაქში მოსამსახურეთა საერთო კრება. დღის წესრიგი: 1) გაგრძელება 28 აგვისტოს მომხდარი საერთო კრებისა, 2) სხვადასხვა კითხვები.

ქალაქის საბჭო.

(31 აგვისტოს სხდომა)

სხდომა გაიხსნა საღამოს 9 საათზე დ. მერხალევის თავმჯდომარეობით. წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა წინა სხდომის ოქმი. თავმჯდომარე კითხულობს საბჭოს თავმჯდომარის სახელზე მიღებულ დეპეშებს მოსკოვის ქალაქის საბჭოსა და სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენის ორგანიზაციისაგან გამოგზავნილს.

დღევანდელი სხდომის საგანია „ნაკაზის" გარჩევა-დამტკიცება. ამხ. ნოე რამიშვილის წინადადებით ნაკაზი მუხლობრივ იქნა განხილული. სანამ „ნაკაზის" კითხვას შეუდგებოდა, გ. ჟურულმა გააკეთა მოკლე მოხსენება, რომლიდანაც გამოირკვა, რომ პრეზიდიუმის მიერ შემუშავებული „ნაკაზი" შეიცავდა 80 მუხლს, უხუცესთა საბჭომ კი დასტოვა მხოლოდ 68 მუხლი. უხუცესთა საბჭოს გამოუტოვებია ის მუხლები, რომლებიც თითქმის განმეორებაა „საქალაქო დებულების" მუხლებისა. გარდა ამისა, უხუცესთა საბჭოს საერთოდ უცვლია სიტყვა „ხმოსანი" შეცვლილის სიტყვებით: „ქალაქის საბჭოს დეპუტატი".

ამხ. ევგ. გეგეჭკორი, როგორც ავტორი „ნაკაზის" პროექტისა, სთხოვს საბჭოს დასტოვონ „ნაკაზში" ის მუხლებიც, რომლებიც „საქალაქო დებულებებში" არის შეტანილი; აქ უბრალო განმეორებას ადგილი არა აქვს, ამ მუხლების „ნაკაზშიც" შეტანა სასარგებლოა და არ არის საჭირო მათი გამოტოვება—სთქვა ორატორმა. რაც შეეხება მეორე შესწორებას, მე მაინცა და მაინც არ წავალ მის წინააღმდეგ, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს და აქ ახალიც არაფერია. რუსეთის ყველა კუთხეში შეხვდებით თქვენ დეპუტატებს, მაგ., არის დეპუტატი სენაკისა, ნათლისღებისა და სხ.

მ. ცხაკაია (ბოლშ.) მოითხოვს აუცილებლად იხმარონ „ხმოსნის" მაგიერად „დეპუტატი". ასეა ევროპაში, ასე უნდა იყოს ჩვენშიცაო.

გ. გვაზავა (ნ. დ.), როგორც პირველ, ისე მეორე შესწორების საკითხში ამხ. ევგენი გეგეჭკორს უჭერს მხარს.

კამათი შეწყდა. უყარეს კენჭი. ხმები თანასწორად განაწილდა. მეორეჯერ კენჭის ყრით დატოვებულ იქმნა ისევ ძველი სახელწოდება „ხმოსანი".

(მიხა ცხაკაია ადგილიდან: „მე ვფიქრობ არ იქნება აკრძალული, რომ შემდეგშიაც დეპუტატები უწოდოთ საბჭოს წევრებს!"... ხმები: „არ იქნება აკრძალული, არა, თქვენ შეგიძლიათ უწოდოთ ხმოსნებს დეპუტატები")

„საქალაქო დებულებათა" მუხლების შესახებ მიღებულ იქნა ამხ. ნოე რამიშვილის წინადადება, რომლის თანახმად ეს მუხლები დარჩება „ნაკაზში", მხოლოდ გაუკეთდება შენიშვნას, რომ ამოღებულია „საქ. დებ."-დან.

ამის შემდეგ გ. ჟურული მუხლობრივ კითხულობს, როგორც პრეზიდიუმის მიერ შემუშავებულ, ისე უხუცესთა საბჭოს მიერ მიღებულ პროექტს და საჭირო ახსნა განმარტებას იძლევა. მხოლოდ რამდენიმე მუხლმა გამოიწვია მცირე კამათი და შეტანილ იქმნა უმნიშვნელო შესწორებები. განხილვის შემდეგ „ნაკაზი" ერთხმად იქნა მიღებული, (მხოლოდ მ. ცხაკაიამ და ფ. მახარაძემ მისცეს წინააღმდეგ ხმა).

დასასრულ, გ. ჟურულმა განაცხადა, რომ უხუცესთა საბჭომ განიხილა ბოლშევიკების განცხადება სიკვდილით დასჯის შესახებ და შესაძლებლად სცნო ეს საკითხი შეტანილ იქნას მახლობელ სხდომის დღის წესრიგში.

გამაერთიანებელი ყრილობა რუს. ს.-დ. მუშ. პარტიისა.

კამათის დასრულებისას პოლიტიკური კითხვების შესახებ სიტყვა წარმოსთქვეს მომხსენებლებმა.

აქსელროდი შეეცადა დაემტკიცებინა, რომ პოტრესოვი და წერეთელი პროლეტარიატის კლასიურ გზას ასცდნენ. რევოლიუციის პირველ თვეში, სანამ დემოკრატიის ბელადები მთავრობის მხარის დაჭერას არ ისახავდნენ მიზნად, მთავრობა დემოკრატიას ანგარიშს უწევდა. მაშინ იქნა წამოყენებული ზავის ფორმულა და შეიქნა რევოლიუციონური ორგანოები. აპრილში საქმე შესამჩნევად შეიცვალა: დემოკრატიის ერთმა ნაწილმა გადასწყვიტა მთავრობისათვის მხარის დაჭერა, რათაც არ უნდა დაჯდომოდა მას ეს. აქ ის თავისი პოლიტიკის შეცდომას ვერ ხედავდა. მძევლებიც კი მისცეს მთავრობას. ვერ წარმოიდგინეს, რომ კოალიცია დემოკრატიისთვის საზარალო იყო, დემოკრატიის პროგრამიდან ჯერ არაფერი არ განხორციელებულა. 3—5 ივლისის ამბები მთავრობის პოლიტიკის და საბჭოთა მოღვაწეობის პოლიტიკის შედეგი იყო. აქ საბჭოები მთავრობის ვექილის როლში გამოვიდნენ. მაგრამ უარყავით რა მხარის დაჭერა მარცხნიდან, თქვენ მხარის დასაჭერათ მარჯვნით წაიხარეთ.

პოტრესოვი ამბობს: მე გუშინ შევეკითხე ინტერნაციონალისტებს, რა გსურთ თქვენ. რა ნაირია თქვენი პროგრამა? ჩვენ მათგან გვესმის მხოლოდ კრიტიკა, მაგრამ მაინც ვერ გავიგეთ ჩვენი პროგრამის საწინააღმდეგოთ რა ნაირ პროგრამას აყენებენ ისინი. ასტროვი გვიჩვენის კლასიური დამოუკიდებლობის დავიწყებას. ჯერ კიდევ აქსელროდის მასწავლებელმა ლენინმა იცოდა, რომ სოციალ-დემოკრატია ვალდებული არაა კუთხეში მისჩაჩალებდეს მოუწიფებელ მასსას, არამედ—მასსა უნდა მიყვებოდეს მას. ერთი საქმეა კლასი წარმოდგენაში შესაძლებლობაში, სულ სხვაა ის არსებაში, სინამდვილეში. ჩვენ გვისაყვედურებენ კლასიურ დამოუკიდებლობის მივიწყებას. ჩვენ გვეუბნებიან, რომ უკეთუ ქვეყნის დასახსნელად ჩვენ ბურჟუაზიასთან ბლოკი გვაქვს, უნდა გავყვეთ ამ ბურჟუაზიას, სადაც ის წაგვიყვანს, მაგრამ კოალიციის ფარგლებში ჩვენ შეგვიძლია ბურჟუაზია ვაიძულოთ ანგარიში გაგვიწიოს და ჩვენ გამოგვყვეს, ვინაიდან თითონ, უჩვენოთ ბურჟუაზიას არ შეუძლია თავისი საკუთარი ნაციონალური მიზნების განხორციელება, აი რაშია საქმე. ამ მიზნების განსახორციელებლად ბურჟუაზიას ესაჭიროება პროლეტარიატის დახმარება, ამაზეა დამყარებული ჩვენი დამოუკიდებლობა კოალიციაში და იმის შესაძლებლობა, რომ ჩვენი პირობები, ვუკარნახოთ ბურჟუაზიას. გვეუბნებიან, რომ ბლოკს გარეშე უფრო ადვილად გავაკეთებდითო ბურჟუაზიას სარევოლიუციო საქმეებო. ეს მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, რომ ჩვენ შეხედულებებში პოლიტიკური მიზნების შესახებ რაიმე საერთო იყოს. მაგრამ ეს ასე არ არის და როცა ჩვენ ბურჟუაზიასთან ბლოკში ვიმყოფებით, შეიძლება გვეძლევა ჩვენი მიზნებისაკენ წავუბიძგოთ მას. აბრამოვიჩის პირით ინტერნაციონალისტებმა თავიანთი საიდუმლოება გამოამჟღავნეს; ისინი იმედებს სეპარატიულ ზავზე ამყარებენ, მაგრამ ეს საძნელო მდგომარეობიდან გამოსვლა არ არის, ეს მხოლოდ ერთი კოალიციიდან მეორეში გადასვლას ნიშნავს, ვინაიდან არსებულ პირობებში რუსეთი გაკოტრებულია, მას ერთი წამითაც არ შეუძლია არსებობა, თუ მას მხარს არ უჭერს ესა თუ ის სახელმწიფო. აქ თავმჯდომარე განმარტავს, რომ პოტრესოვმა აბრამოვიჩის აზრი ვერ გაიგო. აბრამოვიჩი ამბობდა: სეპარატიული ზავისკენ ობიექტიურად „ობორონცების" ტაქტიკას მივყავართო. პოტრესოვი აღნიშნავს, რომ ის დასკვნას აკეთებს აბრამოვიჩის მთელი სიტყვიდან და განაგრძობს: ახლა კითხვა იმაშია—რა ნაირათ შეიძლება იმ კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსვლა, რომელშიაც ქვეყანა იმყოფება. ამაზე, ჩვენ „ობორონცები" ვცდილობთ პასუხის გაცემას. შეიძლება ჩვენ ვცდებით, მაგრამ მაინც ვამბობთ: უნდა გაძლიერდეს მუშაობა ქვეყნის დაცვის საქმეში, საჭიროა ქვეყნის დემოკრატიზაცია, საჭიროა ყოველგვარ არევ-დარევის წინააღმდეგ ბრძოლა. ჩვენ ვერ ვგრძნობთ, რომ ამისთვის საკუთარი ძალა შეგვწევდეს, ამიტომ ვეძებთ ისეთ ელემენტებს, რომლებზედაც შეგვეძლება დამყარება. ქვეყანას არ შეუძლია ლოდინი, სანამ წვრილი ბურჟუაზია აღორძინდება, ამიტომ შესაფერი ელემენტები უნდა მოვძებნოთ პროგრესიულ ბურჟუაზიის წრეებში. მე გეკითხებით თქვენ: სად არის თქვენი პროგრამა? ჩემს წინ მარტოვის თეზისებია. მასში ლაპარაკია სულ უბრალო საგნებზე, მასში ყველაფერი მთავრობის ხელში ჩაგდებაზეა დამყარებული და თუ აქ ლაპარაკია ბოლშევიკების ავანტიურიზმზე, მე ვეტყვი ინტერნაციონალისტებს: თქვენ უმადურნი ხართ: თქვენ წამოიღეთ ყოველივე არსებითი ბოლშევიკებისგან, პროგრამიდან და ახლა მათ ავანტიურისტებს ეძახით! დიახ, ისინი შემცდარნი იყვნენ, როცა 5 ივლისს ქუჩაში გამოვიდნენ, მაგრამ შეიძლება საჭიროა 5 ოქტომბერს გამოსვლა. უმთავრესი კი ისაა, რომ თქვენ ცდილობთ მთავრობის შედგენას მხოლოდ პროლეტარიატის ძალებით, დემოკრატია კი, როგორც განაცხადეთ, ერთი შეუგნებელი მასსაა.

მარტოვი ამბობს: 1915 წელს ჩვენ, ინტერნაციონალისტები, ვამბობდით, რომ მორიგი საპოლიტიკო ლოზუნგი რევოლიუციაა დამფუძნებელი კრების მოსაწვევათ და დემოკრატიული რესპუბლიკის დასამყარებლად. ეს ვთქვით იმ დროს, როცა პოტრესოვს და მისი მეგობრებს ლოზუნგათ გამოჰქონდათ თვითმპყრობელი რუსეთის დაცვა და პროგრესიულ ბურჟუაზიასთან ბლოკი. განა ამაში იყო ჩვენი ავანტიურიზმი? ახლა ჩვენ ვამბობთ, რომ რევოლიუციის პირველი აქტი უკანასკნელი აქტი არ არის და კლასობრივი ბრძოლა ახალ რევოლიუციონურ შეტაკებამდე მიგვიყვანს. ამაში ხედავენ ჩვენს ავანტიურიზმს. პოტრესოვმა სთქვა, რომ ჩვენ სტიქიას მივსდევთ. ამასთანავე ის ივიწყებს, რომ 1914 წელს ის და მისი ამხანაგები იყვნენ სტიქიასთან, რომელიც მეფის სურათით ხელში და ჰიმნით დადიოდნენ, ჩვენ კი მაშინ ამ სტიქიის წინააღმდეგი ვიყავით არა თუ რუსეთში, არამედ ევროპაშიაც. ჩვენ ვიდექით და კიდეც გავმაგრდით ამ სტიქიისა და ნაციონალიზმის წინააღმდეგ. თქვენმა ტაქტიკამ ისეთი პირობები შექმნა, რომ მასსამ ჩვენ მოგვაშურა. ჩვენ სეპარატიული ზავით გვაშინებენ. ახლა რომ ზავის ლოზუნგი წამოაყენონ, მიიმხრობენ მასსას და ამაში დამნაშავე იქნება პოტრესოვების ოპორტუნისტული პოლიტიკა. გვეკითხებიან, რას ეფიქრობთო. პროლეტარიატის მიზანია დაიჭიროს წვრილი ბურჟუაზიის პოლიტიკური აღზრდა და განთავისუფლოს ის ბურჟუაზიის გავლენისაგან, თქვენ კი რევოლიუციონურ დემოკრატიას [illegible]. რევოლიუციის მიზანია, წვრილ ბურჟუაზიის ხელი შეუწყოს მთავრობის ძალა უფლების ხელში ჩაგდების საქმეში. უამისოდ კრახი მოხდება. ეს არის ნამდვილი მარქსისტული ტაქტიკა. პოტრესოვი სულ იმას გვეკითხება, რანაირია თქვენი პროგრამაო და ამბობს: თქვენ და ჩვენ. ვინ არის ეს „ჩვენ"? ისინი ხომ არ არიან, რომლებიც წერეთელთან ერთად ზავისთვის იბრძვიან. იქნება იმათ შესახებ ამბობს პოტრესოვი, რომლებიც გაზეთ „დენში" სწერდნენ, რომ ზავის შესახებ ყბედობა მასსას რყვნისო. ის უფსკრული, რომელიც ამდენ ხანს წერეთელსა და პოტრესოვს შორის იყო ეხლა ამოვსებულია. წერეთელი ერთხელ ხელის ჩამორთმევას მოუყვა მეორე, რითაც ამოივსო ეს უფსკრული.

რევოლიუც. თავდაცვა („оборончество"), რომელსაც ვაკრიტიკებდით და საჭიროთ მივაჩნდა მხარი სდაჭერა არსებით მუხლებში, გაუერთიანდა პოტრესოვის თავდაცვას, იქ არ არის მხოლოდ პლეხანოვი. ეს გაერთიანება მოხდება წინსვლის დროს კი არა, არამედ თუ უკან დავიხევთ. და ეს ყველაზე უფრო სასტიკი განაჩენია იმ მიმდინარეობისა, რომელსაც თავის დროშაზე ეწერა: ბრძოლა ზავისათვის.

წერეთელი ამბობს, რომ მარტოვის პოზიცია ორი წლის განმავლობაში მას სწორ პოზიციათ მიაჩნდა. ის ახლა წარსულს უბრუნდება, ამით სურს ზოგიერთი რამ დასკვნები წარსულიდან მომავლისათვის გამოიტანოს. მარტოვთან ერთად მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ იმპერიალიზმის ძალებთან პროლეტარიატის ძალების გაერთიანება ქვეყნის დაცვას არ ნიშნავს, არამედ—ეს ნიშნავს პროლეტარიატის ისეთ ალაგას მიყვანას, სადაც მასზე ყველაზე სასტიკი თავდასხმა მოხდება. ჩვენ ვფიქრობდით, რომ თვით ომის მსვლელობა თვალებს გაუხელდა არა თუ მუშათა მასსას, არამედ დემოკრატიის ფართო წრეებსაც. მარტოვის შეხედულებებში რევოლიუციის შემდეგ არაფერი არ შეცვლილა და ეს მოვლენა ბევრს ამბობს მის წინააღმდეგ. ყველა ის, რაც მან ილაპარაკა ამ ჟამად, შეეძლო ეთქვა და დაეწერა ორი წლის წინათ. ზავისთვის ბრძოლა ჩემის აზრით მომენტის უმთავრესი მიზანია, ამაზეა დამოკიდებული რევოლიუციის გამოსავალი. მე მგონია, რომ არასოდეს დიპლომატიისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიგვინიჭებია და ყოველთვის ვფიქრობდით, რომ საერთაშორისო საზომით შეიძლება ზავის ჩამოგდება. იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენში იმ საზომით სწარმოებს, რაც არსად არასოდეს არ ყოფილა. პროლეტარიატმა შესძლო ამ ლოზუნგის გარშემო დემოკრატიის ფართო წრეების შემოკრება და ჩვენმა დროებითმა მთავრობამაც დიპლომატიის სფეროში ყოველივე ზომები მიიღო ზავის მოსაახლოვებლათ. რა იარაღი აქვს რუსეთის დემოკრატიას, რომ აიძულოს ზავის ჩამოგდება? სეპარატიულ ზავის მუქარა, თუ სეპარატიული ომის წარმოება? მაგრამ თუ თქვენ ასე ფიქრობთ, ეს პირდაპირ უნდა სთქვათ. ასე, როგორც სჩანს, არავინ არ ფიქრობს. მაშინ რას ნიშნავს მუქარა.—შანტაჟია ეს, თუ გამოტყუება? რა გნებავთ დაბოლოს? ზავისთვის ბრძოლა მე მიმაჩნია მორიგ საკითხათ, მაგრამ ულტიმატუმის წაყენებით კი არა, არამედ მასსებთან დამოუკიდებელი კავშირის დაჭერით. მარტოვი ითვალისწინებს ბრძოლას ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. მე ვეთანხმები მარტოვს, მაგრამ რა გზით უპირებს ის დემოკრატიას ამ ბრძოლისათვის მომზადებას. ჯერ კიდევ არ დარწმუნებულა დემოკრატია, რომ ბურჟუაზიასთან თანამშრომლობა შეუძლებელია. როგორ დავარწმუნოთ, რომ ის სცდება? იმით ხომ არა, რომ ვუთხრათ: პროლეტარიატი არ ენდობა ბურჟუაზიას, ნუ ენდობით ნურც თქვენ, ანდა ს. დ. ტაქტიკის ჩვეულებრივი გზით ვაიძულოთ დემოკრატია ჩვენი სიტყვების სიმართლეში გამოცდილებით დარწმუნდეს. მარტოვი რევოლიუციის ახალ ხანაზე წინასწარმეტყველობს მაგრამ მე კი მსურდა, რომ გამეგონა რევოლიუციის დროს თვით ამ რევოლიუციაში იმყოფებოდნენ, მისი გზის მაჩვენებლათ და არ ეწეოდნენ მას ხელმძღვანელათ მხოლოდ კრიტიკას. მე ვამტკიცებ, რომ მომავალი ბრძოლის სათავეში იქნებიან ისინი, ვისაც რევოლიუცია ერთი გამარჯვებიდან მეორე გამარჯვებამდე მიჰყავდა. ჩვენ დემოკრატიის სათავეში, ცხოვრების ცენტრში მყოფთ სიამაყით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ არ დავნებდით იმ წრეებს, რომლებიც თქვენთან ახლოს დგანან. სადაც რევოლიუცია იმარჯვებდა, იქ ჩვენი დროშა ფრიალებდა, სადაც ის მარცხს განიცდიდა, იქ სხვანაირი დროშა იყო.

თქვენ მეკითხებით იმ შეტევის შესახებ, რომელიც ჩვენმა ჯარმა დაიწყო; მიპასუხეთ—როდის იყო ზავის საკითხი სწორ გზაზე დამდგარი. მაშინ, როცა რუსეთის ჯარი საბრძოლველად იყო მზათ, თუ მაშინ, როცა ის ერთ ალაგას დგომით იხრწნებოდა, რითაც ის ჰინდენბურგს ახარებდა და ამით საშვალებას აძლევდა მას შესაფერი დრო აერჩია რევოლიუციაზე თავდასასხმელად?

რკინის გზის სამართველო.

25 მარიამობისთვეს შესდგა ლიანდაგის მოსამსახურეთა კრება, რომელსაც უნდა ამოერჩია ერთი წარმომადგენელი საერთო სამართველოს კომიტეტში თანახმად ც. ა. მოწვ-

---

რამ, რაც გულხვაცისათვის აუცილებელია. სულიერი მდგომარეობა ოჯახისა ჩინებული იყო და ხშირად გაისმოდა გერასიმესას გულიანი სიცილი, ხარხარი.

თვითონ გერასიმეს კი ერთი რამ აწუხებდა. ეს იყო მეორე ვაჟის, სოსოს ბედი. სოსო ქალაქში იყო წასული სამუშაოდ. ის ერთ ქარხანაში მუშაობდა და მამას ფულით ეხმარებოდა. ერთს დღეს სოსო კრებაზე დაიჭირეს და ხუთი წლით გადაასახლეს რუსეთში. მაგრამ, როდესაც გერასიმე სოსოზე დაიწყებდა ფიქრს, იმით ინუგეშებდა ყოველთვის თავს, რომ სოსო ვადით იყო გადასახლებული და ხუთი წლის განვლის შემდეგ მას შეეძლო სამშობლოში დაბრუნება.

სოსომ მალე რუსეთიდან კარგი ამბავი შეატყობინა მამას. ის აუწყებდა გერასიმეს რომ სამუშაო ვიშოვნეო და დასამტკიცებლად ცოტა ფულიც გამოუგზავნა გერასიმეს. ამ გარემოებამ კი სულ დაამშვიდა მოხუცი და ბალისიან ცხოვრებას შეუდგა. ასე რომ საერთოდ ბედის სამდურავი არაფერი ქონდა გერასიმეს.

მაგრამ ომის გამოცხადებამ მეხის მსგავსათ, დაიქუხა გერასიმეს თავზე. მას იმ დღიდან ხელიდან გამოაცალეს ოჯახის ბურჯი და მარჩენალი მალხაზი და გერასიმეც მარტოკა დარჩა, როგორც ბებერი, ტოტებ ჩამონტვრეული მუხა ტიალ მინდორზე.

მალხაზი სათადარიგო ჯარისკაცი იყო და პირველი საერთო მობილიზაცია შეეხო მას, გერასიმე სახტად დარჩა ამის გაგონებაზე, მაგრამ მალე მოვიდა გონს და საშველად დაფაცურდა.

— ქვეყანას გავაგებინებ ჩემს ამბავს, ხელმწიფემდის ვივლი და მალხაზს არავის დავანებებო, იძახდა გერასიმე. როგორ იქნება მოხუცს მამას ერთად ერთი მარჩენალი შვილი წაართვან და ომში გაგზავნონ სასიკვდილოთო. მერე ხომ დაილუპა მთელი ოჯახი—ამოვწყდით შიმშილითო. ამას როგორ იზმენო? ეუბნებოდა ის მეზობლებს, მამასახლისს, მღვდელს და ყველას, ვისაც კი ჩაიგდებდა ხელში სალაპარაკოთ. თავის ფეხით მივიდა გერასიმე სამხედრო უფროსთან, ექიმთან, აწერინა თხოვნები, მაგრამ არაფერი გაუვიდა და მალხაზი მოაშორეს საყვარელ სოფელს. სამოცდა ათი წლის გერასიმე მარტოდ დარჩა და ოჯახის მთელი ჭირ-ვარამი მას დააწვა მხრ-კისერზე.

პირველ ხანებში მალხაზს წასვლით ოჯახს ბევრი არაფერი დაკლებია, რადგან წინა წლების ჩამონარჩენი სარჩო საკმარისად ქონდათ, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ძველი ნამუშევარი გამოილია და გერასიმეს ოჯახს შიმშილი მიადგა კარებზე.

მოხუცს გერასიმეს არ შეეძლო თოხნა. ეფროსინე კი დატრიალდა და რაღაცას ცდილობდა, მაგრამ ბავშვებიან ქალს რამდენი უნდა გაეკეთებინა, რომ ოთხი სულის სარჩო მოეწია! ამიტომ მალე სარჩო გამოელიათ და მშიერ-მწყურვალნი მიათრევდნენ დღეებს, ეფროსინეს, როგორც სათადარიგო ჯარისკაცის ცოლს, მცირეოდენ დახმარებას აძლევდა მთავრობა. სოსოც გზავნიდა რამოდენიმე მანეთს და ამით ყიდულობდნენ სიმინდს, მაგრამ ყველა ეს სულის მოსაბრუნებელი იყო და მეტი არაფერი.

ეფროსინე იძულებული გახდა თავისი ლამაზი ქათმები დაეყიდა და სიმინდი შეეძინა. მალე ეფროსინეს გერასიმემ მიაბარა და ულელ ხარებს დაემშვიდობა. გაყიდეს, რის გაყიდვაც კი შეიძლებოდა, შემდეგ სესხის აღება დაიწყეს და ასე ოჯახი დღითი დღე ქვეითდებოდა.

შარშან გერასიმე ეფროსინეს ვიღაცეები დაეხმარენ და სიმინდი მოაწევინეს, მაგრამ ეს სიმინდიც ქრისტეშობისთვეში უკვე გამოელიათ და მას აქეთ ხან ყიდვით, ხან სესხით და თხოვნით ძლივ-ძლივობით იკვებებდნენ თავს. გამუდმებულმა შიმშილმა თავისი ქნა და ყველანი ძვალტყავათ აქცია. განსაკუთრებით დააჩნდა შიმშილობა ბავშვებს. ფერი არც ერთს არ შერჩა და დღითი-დღე ზრდის მაგიერ პატარავდებოდნენ. უცქეროდა ყველა ამას გერასიმე და გული უკვნესოდა მოხუცს, საცოდაობის ცქერას ვეღარ უძლებდა და ხშირად ნატრობდა ამ უბედურ წუთისოფლის მოშორებას.

— რა დღეში ვარ? რა მეშველება?—კვნესოდა ის ხან ჩუმათ, ხან სხვების გასაგონათაც, მაგრამ არც ერთი პატარა იმედი არსაიდან, არც ერთი გამამხნევებელი ხმა არავისაგან. ყველას ამ ჟამათ თავისი გასაჭირი საკმარისი ქონდა და ამა ვინ გაუწოდებდა მას ამ დროს დახმარების ხელს. ან რომ გაეწოდებინა რამდენჯერ და როდემდის? მომავალი არაფერ სანუგეშოს არ პირდებოდა სოფელს. ომს დასასრული არ უჩანდა. სანოვაგის ფასი ყოველ დღე მატულობდა. სიმინდი და პური სასყიდლითაც არ იშოვებოდა და ყველაფერი ეს მომაკვდინებელ გამანადგურებელ სალტეს უჭერდა გერასიმეს ოდესღაც ღონიერ, მაძღარ ოჯახს...

აი ასეთ მდგომარეობაში იყო გერასიმე, როდესაც ის პირველ მიტინგს დაესწრო, სადაც მან ახალი ცხოვრების დასაწყისი ახარეს.

— დაინგრა ძველი ყველაფერი და ახალი ცხოვრება დაიწყოვო, უთხრეს მას იქ. მაშასადამე, ფიქრობდა გერასიმე ამის გაგონების შემდეგ, ის, რაც შემაწუხებელი იყო დამარხულია, რაც კარგია, ახლა იწყება და მოდის ჩვენდა გასახარათ. დაბრუნდება გადასახლებული სოსო, შეწყდება ომი და მოვა სახლში მალხაზი. შეუდგებიან ძველებურათ მუშაობას და ოჯახი გამხიარულდება, ბედნიერათ გაიცინებს. წელში გაიმართება მთელი სოფელიც, მოისპობა სიძვირე, შიმშილი, მრავალი სხვა უბედურობა, რაც დღემდის გვაწუხებდა, ბედნიერ ცხოვრებას გვიშლიდა. ეს არის ერთობა. ამ გვარ გამარჯვებას გვახარებენ ჩვენი მქადაგებლები და მაშასადამე სამართლიანადაც გვმართებს სიხარული და შვებით, ამბობდა გერასიმე.

სასოწარკვეთილებით მოცულს, სრულ განადგურებამდის მიღწეულ ოჯახის შემყურე გერასიმეს—მოულოდნელათ ეუბნებიან: ნუ გეშინია მოხუცო, გადარჩენილია შენი მრავალ ჭირ-ნახული ნაამაგარი საყვარელი ოჯახი. სამუდამოთ დასამარებულია ის, რაც შენს ბედნიერ მყუდრო ცხოვრებას უშლიდა ხელს. გახაროდეს თავისუფალი მოქალაქევ, დღეს შენია მთელი ქვეყანა, იცხოვრე ისე, როგორც შენ თვითონ დაინახავ საჭიროთ. და ყველა ამაების შემდეგ შეეძლო განა გერასიმეს დამშვიდებული ყოფილიყო?! ბედნიერების განცდამ მოხუცის დასუსტებული ნერვები ძალზე დაჭიმა და ენა ამოადგმევინა...

ილია რუხაძე.

(დასასრული იქნება).

რილობისა. კრების განხილვის წაკითხულ იყო შორაპნის კომიტეტის დეპეშა, რომლითაც პროტესტს აცხადებდა უფროსის თანაშემწის კულდანდის მიმართ, რადგან იმის განკარგულებით გამოყვანილი იყო შორაპნის კომიტეტის მიერ დასჯილი მოანგარიშე ლიტვინოვი თფილისის სამხროთველოში, რომელსაც ბრალდება ძველ პოლიციელებთან ერთად კრებების გამართვა, მექრთამეობა და სხვა ხულიგანური გამოსვლები. კრებამ იქონია მსჯელობა და მიუხედავად იმისა, რომ დეპეშა არ იყო დაწვრილებით განხილული,—შორაპნის კომ., როგორც რევოლიუციონერ ორგანოს, შეეძლო კულდანდისთვის პროტესტი განეცხადებინა, საპასუხო დეპეშა გაეგზავნა, სადაც ნათქვამია, რომ მოსამსახურეები სრულ ნდობას უცხადებენ კულდანდს და სხვა.

ამორჩეულ იქნა საერთო სამხროთველოს კომ. მიუხედავათ დემოკრატიულ ნაწილის ცდისა, რომელსაც უნდოდა გაეყვანა ინჟინერი გვარამაძე, როგორც დასახელებულ კანდიდატებთა შორის უფრო დემოკრატი; მაგრამ ის გავიდა მხოლოდ კანდიდატათ და ინჟ. მარკოვი-კი კომიტეტში. ამავე კრებამ დაადგინა გამოყვანილ იქნას კომისია (ც. კ. და საერთო კომ.), რომელსაც მიენდობა გამოძიება—კონტრ-რევოლიუციონერების გამოსაძებნად. თუ კარგად დააკვირდება კომისია და მარტო უფროსების შეკრებაზე არ დაკმაყოფილდება, არა ერთსა და ორს აღმოაჩენს „რუსულ კლუბის“ წევრებს და გენერალ კორნილოვის მეტრფიალეთ, რომელნიც ყოველ დღე იმას იძახიან, მუშათა და სალდათთა საბჭომ დაღუპა რუსეთიო.

საერთო ცენტრალურმა კომიტეტმა მიაქციოს ამას სათანადო ყურადღება, რადგანაც ბოლო დროს ისინიც ამათ რიცხვში შედიან. მოსამსახურეთა უმრავლესობის აზრით, როგორც რუსეთის დამღუპველნი საჩქაროდ საჭიროა ადგილობრივ კომიტეტების სრული რეორგანიზაცია.

„ობერი“.

პროვინციის ცხოვრება.

ს. ძველი ნაბეღლავი (გურია), აქ არსებობს მომხმ. საზ. „ღარიბთა წყარო“. ამ საზოგადოებაში ირიცხება 67-მდე წევრი. 15 აგვისტოს მოხდა ამ კოოპერატივის წევრთა არა ჩვეულებრივი კრება. კრებას დაესწრო 50 სრულ უფლებიანი წევრი. დღის წესრიგში იყო გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენება და ახალი ნოქრის არჩევა. თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. სიმონ ჯიხარაძე, მდივნათ ამხ. ბ. სიხარულიძე. სარევიზიო კომისიის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ 4 თვისა და 12 დღის განმავლობაში ამ კოოპერატივში გადატრიალებულა 10518 მ. და 30 კ. ყველა ხარჯების გარდა დაგროვებია წმინდა მოგება 735 მ. და 40 კ. დუქანში არის დღეს საქონელი 8644 მ. და 18 კ. შემდეგ ყოფილმა ნოქარმა ვ. ქურქაძემ წარმოადგინა მოთხოვნილებები, რომლის დაკმაყოფილება ხალხმა უარყო და აირჩიეს სხვა ნოქარი ბათლომე სიხარულიძე, რომელსაც ეძლევა წლიური ჯამაგირი 800 მ. დასასრულ კრებამ მადლობა გამოუცხადა გამგეობას და ყოფილ ნოქარს და შემდეგ აირჩიეს ერთი ჯამაგირიანი გამგე და ორიც უჯამაგირო. ჯამაგირიან გამგეს ეძლევა 200 მ. წელიწადში და ევალება ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ნოქარს დუქნის წარმოებაში.

ხიმ. ჯ—ძე.

ხოფ. მეტეხი (ავლევის საზოგადოება). ამ სოფელში ცხოვრობენ ოსები. ეს სოფელი და ახლო-მახლო ოსების სოფლები ჩამორჩენილნი არიან სწავლა-განათლების მხრივ. არც ერთს სოფელში არ არის სკოლა. უსწავლელობისა გამო ძველი უხეირო წესები, როგორიც არის ოსებში ქალების და ქალის „ირადი“ ჯერ აქ არ მოსპობილა. საჭიროა ოსების ინტელიგენციამ ამნაირ ჩამორჩენილ კუთხეებსაც მიხედოს. პირველი ყურადღება უნდა მიექცეს სკოლების გამრავლებას.

აქაც გადაჰყვნენ ძველი მოხელენი და აარჩიეს ახლები. აქაურ კომიტეტებს წინამძღოლობს უწევს კოსტა ამირაჯიბი. გლეხობა მადლიერი არიან მისი. კ. ამირაჯიბს შეუძლიან აქაურ ხალხს სკოლები გაუხსნას და ცუდი ჩვეულებებიც როგორიც არის ქალების და „ირადი“ მოაშლევინოს.

აქ სოფ. ნაგუთნის ახლო გოგირდის წყალია. მეტეხის მდინარე „ფრონის“ სათავეში. ეს სამკურნალო წყალი მიწიდან ამოქუხს და თფილისიდან მოდიან აქ სამკურნალოთ. ეს წყალი ყურადღებით არის დატოვებული. არ არის გაკეთებული, საჭიროა აქაურმა ხალხმა ყურადღება მიაქციოს ამ სამკურნალო წყალს.

ხიონ.

ს. ბჟოლიეთი (გურია). ბჟოლიეთის მდებარეობა და ჰაერი აგარაკ-სახმარის მოგვაგონებს. შვიდი ვერსის მანძილზე ბჟოლიეთიდან არის „მჟავე წყალი“. ხალხი ბევრი დადის ზაფხულობით აქ. ბჟოლიეთში არსებობს ორკლასიანი სასწავლებელი, მაგრამ მასწავლებლები არა ყავთ. აქ არის სამკითხველო, კოოპერატივი და მასთან სახარაზო.

ტრ. ზანტლაძე.

ს. გოჩა ჯიხაიში. 4 აგვისტოს ს. გოჩაჯიხაიში გაიმართა კრება. მოწვეულნი იყვნენ ამიერ-კავკასიის კოოპერატივის ინსტრუქტორები აქ მომხდარ უთანხმოების გამოსარკვევათ. თებერვალში აქ სამოციოდე პაიმა გახსნეს კოოპერატივი „ანგარიში“. კოოპერატივი მეტათ უხერხულ ადგილას გახსნეს. ამის გამო ამ სოფლის უმრავლესობამ თავისთვის გახსნეს კოოპერატივი საშუალო ადგილას. მაგრამ ვერც ერთმა საკმარისი საქონელი ვერ იშოვა და ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა ორივე კოოპერატივი. ინსტრუქტორების მისვლამდის შეთანხმება მოხდა. დატოვეს ორი კოოპერატივი, ხოლო ერთი განყოფილებათ ჩათვალეს. საქონელს მიიღებს ერთი კოოპერატივი და შემდეგ მეორეს გადასცემს რაც საჭირო იქნება. მაგრამ პირველი კოოპერატივის გამგეობამ მალე დაარღვია ეს შეთანხმება. ვერც ინსტრუქტორებმა მოაგვარეს საქმე. აქ არიან ისეთები, რომლებიც ძალიან აბრკოლებენ კოოპერატივის საქმეს და არევდარევა შეაქვთ ხალხში. დროა ამათ წინაღმდეგ ზომები იქნას მიღებული.

პ. ანდრიაძე.

ქ. სოუჯბულახი (სპარსეთი). არა ერთხელ აღვნიშნავს, რომ ქართულ მსროლელთა პოლკი უმძიმეს მდგომარეობაშია. ჯარისკაცებს არ აქვთ ტანისამოსი, ფეხსაცმელები და კარვები, საერთოთ პოლკი მოწყობილი არაა. მიუხედავათ ამ დაბრკოლებისა პოლკი ყოველთვის სახელოვნათ იბრძოდა.

პოლკის უფროსათ პოლკოვნიკ ვეზაკიძის დანიშვნის შემდეგ—ქართული პოლკის საქმე თანდათან გამოკეთდა.

პოლკის კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმათ მოსპეს ფულზე ქაღალდის თამაში—გახსნეს სამკითხველო. გადაწყვიტეს მოაწყონ წარმოდგენები ქართულ ენაზე და ამ მიზნისთვის თხოვეს პოლკოვნიკს დახმარება 1200 მან.

თუ ასე გაგრძელდა საქმე, მაშინ ქართული პოლკი სასურველ პირობებში ჩადგება.

იათაის-პირელი.

ს. წიხი (რაჭა). ძველმა დახავსებულმა მთავრობამ და მის მიერ დაწყებულმა ომმა ცუდათ მოაწყო გაძვალტყავებული გლეხის ცხოვრება. სურსათის მხრით გვალვისაგან განადგურებული სოფელი კრიტიკულ მდგომარეობაში ვარდება. სოფელი სტირის, მოსთქვამს და ნუგეშის მთქმელი კი არავინაა. მას მოაცილეს ჯან ღონით სავსე ახალ გაზრდობა და მათი უღელი საზიდავათ შეუქმნეს ქალებს, ბავშვებს და ჯან გატეხილ მოხუცებს. ყოველმხრით სარჩოს მაძებარ რაჭველს შიმშილის აჩრდილი დასტრიალებს თავს. რაჭის სახელოს შეადგენს ღვინო, სიმინდი და ლობიო. 2 თვე იქნება წვიმა არ მოსულა, სიმინდი უწყლოთ ხმება, ყურძენი ვაზს აჭკნება. აქ არსებობს ახლათ დაარსებული კოოპერატივი „შეგნება“, რომელიც ვერ აღწევს თავის მიზანს.

მ. რ. ლომთაძე.

ფონდი.

გთხოვთ მიიღოთ ჩვენგან პარტიულ სტამბის სასარგებლოთ ნიშნად ორმოცი დღის აღნიშვნისა ჩვენი აწ გარდაცვალებული ძვირფასი და პოლიტიკურათ დევნის დროს მანუგეშებელი ძმის სოლომონ კონსტანტინეს ძე მუხაშავრიას სახსოვრად—15 მან.

პეტრე. თეოფ. და ლაზარე მუხაშავრიები.

—

გიგზავნით უჩხუბის ამხანაგებს შორის შეგროვილ წვლილს 22 მან. 25 კაპ. 11 მან. „ერთობის“ და 11 მან. 25 კაპ. „ფაიქარის“ სასარგებლოთ.

მანდობილებით ი. ხინველი.

—

ფოთიდან მივიღეთ ხარიტონ ქვანიასა და პავლე ინაძისაგან პარტიულ სტამბის სასარგებლოთ 15 მანეთი.

—

ვუცხადებ ჩემს ღრმა მწუხარებას ლიდი-ჯიხაიშის ს.-დ. მ. პარტიის კოლექტივს (რევოლიუციის მტრების მიერ ვერაგულათ მოკლულის) მათივე თავმჯდომარის და დაუღალავ მებრძოლის ილიკო ქუთათელაძის გარდაცვალების გამო. მისი ხსოვნის აღსანიშნავათ გადავდებ 25 მანეთს. 10 მანეთი პარტიულ სტამბას და 15 მანეთი ლიდი ჯიხაიშის ს.-დ. მ. პარტიის კომიტეტის სასარგებლოთ.

სარიყამიშის ს.-დ. მ. პ. წევრი ხამხან (ხახიკო) ხარაბაძე.

—

სერნოვოდსკი. ჩვენ, სერნოვოდსკში საექიმოთ ჩამოსული ჯარისკაცები, გიგზავნით 6 მანეთს ჩვენი ინტერესების დამცველ გაზეთ „ერთობის“ სასარგებლოდ.

ამხ. მონდ. დიმიტრი ხიკოს ძე ვადაჭკორია.

—

მიიღეთ ჩვენ მიერ ამხანაგებში შეგროვილი წვლილი 8 მ. 50 კაპ.

კალენიკე თავართქილაძე და მიხაკო მეგრელაძე.

—

სიმონ ჯინჭარაძისაგან „ერთობის“ სასარგებლოთ მივიღეთ ათი მანეთი (10 მ.).

—

სვანიშვილი და მისი ამხანაგების მუშები (ქვათური) გულითად სალამს უძღვნით ჩვენი ინტერესების დამცველ გაზეთს—„ერთობას“, გიგზავნით ჩვენ შორის შეგროვილ წვლილს. სულ 15 მ. 50 კაპ.

ამხ. მონდ. ნესტორ და კოტე ხამხარაძეები.

—

ერობათა კავშირის ცენტრალური ავტომობილის სახელოსნოში მომუშავეებმა შევაგროვეთ ჩვენ შორის 48 მ. მუშათა გაზეთების სასარგებლოთ, რომლიდგანაც 16 მანეთს გიგზავნით „ერთობის“ სასარგებლოთ.

ამხ. მონდ. ვანო კარაპეტოვი.

—

სუფსის რაიონულ ორგანიზაციიდან მივიღეთ პარტიულ სტამბის სასარგებლოთ 200 მ.

—

ერზრუმიდან. 108 საზღვარო ტრანსპორტიდან შემოსწირეს პარტიულ სტამბის სასარგებლოთ 85 მანეთი.

ამხ. მონდ. იაკოფ ქუჩლავა.

—

გიგზავნით 33 მ. 30 კ. შეგროვილს ქობულეთის წითელი ჯვრის მოსამსახურეთა შორის პარტიულ სტამბის შესაძენ ფონდის გასაძლიერებლათ.

პატივისცემით: ალ. მელქაძე.

—

ამასთანავე გაახლებთ სპარსეთში მყოფი ქართულ ცხენოსანთა რაზმში შეგროვილ ფულს გაზეთ „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლათ. სულ 137 მ. 50 კ.

მონდ. პოლკ. კომიტეტის თავმჯდომარე პ. ფრანგიშვილი.

—

ჩვენ მე-43-ე ოხოტსკი პოლკის ქართველთა ჯარისკაცები გიგზავნით ჩვენ შორის შეგროვილ წვლილს დაუვიწყარი ამხანაგის დათიკო ნევანიძის (მიქელაშვილის) ხსოვნის აღსანიშნავათ, რომელიც 17 ნოემბერს 1916 წ. კარპატებში მტერთან ხელჩართული ბრძოლის დროს მოკლულ იქნა. ფული 55 მ. 50 კაპ. გთხოვთ გაანაწილოთ შემდეგნაირათ: 28 მან. ჩაგრულთა ინტერესების გამომხატველ „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლათ; დანარჩენი 27 მ. 50 კ. გადაეცით სოფ. ზანგის (გურია) უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს გამგეობას.

P. S. ეს ფული შეგროვილი იყო 25 ნოემბერს 1916 წ. 39 მ. და უნდა გამოეგზავნა, ბესარიონ ნევანიძეს (მიქელაშვილს), რომელსაც მინდობილი ქონდა ფულის გამოგზავნა, მაგრამ ეს ფულები მან მიითვისა და ახლა ხელმეორეთ შევკრიბეთ.

ამხ. მონდ. ერმილე ჩიგოგიძე.

—

სოხუმი. აქ 8 აგვისტოს გარდაიცვალა ხელოსანი სერგო ლორთქიფანიძე. მის პატივსაცემათ ამხანაგ ხელოსნებში ურთიერთ შორის შეაგროვეს 138 მ. გვირგვინისთვის, მაგრამ გადაწყვიტეს მიცვალებულის სახსოვრათ ეს ფული გაენაწილებინათ და 46 მან. გადაეცათ ქ. შ. წ. კ. გ. ს. სოხუმის განყოფილებას ღარიბ მოწაფეთათვის სასწავლო ნივთების შესაძენათ. 92 მ. ვგზავნით „ერთობის“ რედაქციაში, რომლიდან 46 მ. გაზეთის ფონდს უნდა გადაეცეს. 46 მანეთით გაზეთი უნდა გამოეწეროს ჯარისკაცთ ფრონტზე გასაგზავნათ.

ამხანაგების მინდობილობით: თეოფილე მათიაშვილი, ლადო ქუთათელაძე.

—

ჩვენ კავკასიის ჯარისკაცები მე-18 მსროლელთა ტურკესტანის პოლკში მე-6 როტაში მყოფი გიგზავნით ოცდა ერთ მანეთს 50 კ. გაზეთის სასარგებლოთ „ერთობის“ ფონდის გასაძლიერებლათ.

—

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ მიიღოთ 80 მანეთი და გაანაწილოთ შემდეგნაირათ: 40 მ. „ერთობას“, 40 მ. სტამბას. ფული შეკრებილია 13 კაც. მუშათა ბათალიონში მესამე როტაში.

ამხ. მინდობილობით როტის დეპუტატი ლაზარე ურუშაძე

—

გიგზავნით 100 მანეთს პარტიულ სტამბის სასარგებლოთ. ეს არის გამოგზავნილი ბახმაროს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის მიერ.

ნიკოლა პ. ამნაიშვილი.

—

კვარცხანის რაიონის პარტიის წევრთა შორის შეაგროვეს ოთხას ორმოცდა რვა მან. ხუთი შაური. გამოსაგზავნი ხარჯი 1 მ. 2 კ. მიიღებდით 447 მ. 23 კ.

კვარცხანის რაიონის კომიტეტის თავმჯდომარე რ. ს. დ. მ. პ. დავით ხიმონას ძე გუგუნავა.

—

მივიღეთ იოსებ გიორგობიანისაგან სტამბის ფონდისთვის 18 მ. 70 კ.

—

მივიღეთ კირილე ოთანაძისაგან გაზეთის ფონდისთვის 5 მ.

—

ოზურგეთის რაიონულ ორგანიზაციისაგან 22 აპრილის აღსანიშნავათ მივიღეთ გაზეთის ფონდისთვის 150 მ. მათგანვე მივიღეთ პარტიულ სტამბისთვის 222 მ. 50 კ.

—

გიგზავნით: 8 მ. გაზ. „ერთობის“ ფონდისათვის; 1 მ. ჟურ. „მეთოხეს“; 1 მ. ჟურნალ „პირველ ნაბიჯს“.

ნოე მანჯგალაძე.

ცნობები
ჯარის-კაცთა შესახებ.

ჯარისკაცი ილიკო იაკობის ძე ომარაშვილი მსახურებდა კავკასიის მოქმედ ჯარში მე 8-ე კავკასიის საბარგო ბატალიონში მე-4-ე საზღვარო ტრანსპორტში. თუ ვინმემ იცის რამე მის შესახებ, შეგვატყობინეთ: ქ. თფილისი, ავლაბარში შემახინის ქუჩა № 14. თედო პაატაშვილს.

— მე-22 კავკასიის მსროლელ პოლკში მე 3 როტაში 1 ვზვოდში მსახურობდა ჯარის კაცი სვიმონ იოსების ძე კურდღელაშვილი. თუ ვინმემ იცის მის შესახებ რამე, შეგვატყობინეთ. Ст. Ксанка тиф. губ. мѣстечко Мухрани Аннѣ Шаразановой.

— მაკარი ივანეს ძე ინჯია მსახურობდა მე-45 აზოვსკი პოლკში; მე-13 როტაში. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ. Кавказская армія. Грузинскій стрѣлковый полкъ. 8-я рота Александру Инджія.

— ჯარისკაცი ევგენი ბიკინის ძე ჯიქია მსახურებდა კავკასიის ფრონტზე მე 10 ე სამთო მუშათა ბათალიონში, მე-2 როტაში. ვსთხოვთ გვაცნობოთ თუ ვინმემ იცის მის შესახებ რამე. ст. Караязы зкв. ж. д. Платону Анджапаридзе

— თედორე ივანეს ძე ფურცელაძე მსახურებდა კავკასიის მეორე არმიის არტილერიაში პირვ. როტ. მეოთხე ვზვოდში. თუ ვინმემ იცის რამე, გთხოვთ გამაგებინოთ: თფილისი ანტონოვის ქ. № 13, რაფ. თევზაძეს.

— ჯარისკაცი ლადიკო ამბაკოს ძე დობორჯგინიძე მსახურობდა კავკასიის მოქმედ ჯარში 1 ყარსის ქვეითა პოლკში მე 5 როტაში 1 ვზვოდში. ვსთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: Озургеты, Ивану Горгиладзе ერმილე დობორჯგინიძისათვის.

— ჯარისკაცი ოთია ალექსანდრეს ძე რამიშვილი მსახურობდა (ქ. ბათუმში) მე-221 სათადარიგო ქვეითა პოლკის მე-93 როტაში, მე 4 ვზვოდში, გაგზავნეს კავკასიის ფრონტზე მე-3 მუშათა ბრიგადაში მე 14 ბატალიონში მე 7 როტაში, მეზვერობის დროს ავად გამხდარა და დარჩენილა ს. კუპრიკეში. მას შემდეგ არაფერი ვიცით მის შესახებ, ვთხოვთ, თუ ვინმემ რამე იცის, გვაცნობოს: Кавказская Армія 3-я Кавказская Бригада 14-й Баталіонъ 7-я рота, Миріану Мгеладзе.

— ივანე სოფრომის ძე თხელიძე მსახურობდა მე-220 მუშათა ბატალიონში, მე-2 როტაში, მე-3 ვზვოდში. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, ვთხოვ მაცნობოს: Кавказская Дѣйст. Армія 25 кавказскій стрелковый полкъ 2 рота, 3 взводъ. Виссаріонъ Тхеладзе.

— პავლე ალექსის ძე გუჯაბიძე მსახურობდა მე-262 გროზნენსკი პოლკში, მე-66 დივიზიაში, 33 კორპუსში, მე 2 ბატალიონში. მაცნობეთ მის შესახებ შემდეგი მისამართით М. Чохатауры. (Кут. Губ.) сел. Аскана, Ивльяну Алѣксевичу Гуджабидзе.

— ჯარისკაცი ალექსანდრე ივანეს ძე კაჭარავა მსახურებდა მე 112 სათადარიგო პოლკში, თოფების სახელოსნოში, გთხოვთ გვაცნობოთ: Кавказская Дѣйст. Армія Грузинскій стрѣльковый полкъ 3-й рота. Акакію Романозовичу Качарава.

— ჯარისკაცი სიმონ ლაზარეს ძე დოლუბაია მსახურებდა ავსტრიის ფრონტზე. თუ ვინმემ იცით მის შესახებ, შემატყობინეთ: Кавказская Дѣйст. Армія 25 кавказскій: стрѣлковый полкъ 10 рота. Георгій Долубая.

— წელს თებერვლის რიცხვებში გარდაიცვალა ქ. სოუჯბულახში (სპარსეთი) ჯარისკაცი, ქართველთა მსროლელ პოლკის 10 როტის, ბესარიონ მოხრიძე, ოზურგეთის მაზრის ს. აკეთის მცხოვრები. ჯარისკაცი ჯაჯუა.

— ჯარისკაცი გრიგოლი ნიკოლოზის ძე ფერაძე მსახურობდა კავკ. ას. მოქმედ ჯარში, მე 84 სანიტარულ ტრანსპორტში. ვსთხოვთ ყველას, თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ გვაცნობონ შემდეგი მისამართით: Кавк. Дѣйст. Армія, Грузинскій стрельковой полкъ. Фельдшеру Венедикту Передзе.

— ჯარისკაცი ევგენი გიორგის ძე ჩაგუნავა მსახურობდა ბათუმში მე 221 სათადარიგო პოლკში, მე 5 როტაში. გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით, მაცნობოთ: 118-й Кавказ. военный транспортъ. Михаилъ Чагунава.

ჩვენი ფოსტა.

ხად. ბოლაგორი. გ. ჩუხარულს. რედაქცია არ იცნობს თქვენ მიერ აღნიშნულ წერილში მოხსენებულ მე ჩიძეს.

ვ. ბურჯანაძეს. 5 მ. განცხადება მხოლოთ ორჯერ დაიბეჭდება.

კვარცხანა. ი. ვაჩეიშვილს და არ. კაჭახიძეს. თანახმათ გაზეთში გამოცხადებულ ფასისა, ე. ი. თითომ 7. მ. 60 კაპ.

ყ. ჯ—ძეს და სხვებს. ადრესის შესაცვლელათ საჭიროა რედაქციაში წარმოდგენილ იქნას 1 მანეთი. წინააღმდეგ შემთხვევაში ადრესი არ შეიცვლება.

გრ. ხოჭოლავას. ადრესის გამოსაცვლელი ერთი მანეთია.

ტფილისი
ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე
იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდი. პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკი სახლში.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, 1—2 და სად. 5—6 ნახ. ს-დის. გუნიბის ქ. № 41.

ექიმი
დ. ი. ქორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სპეციალურათ ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—6 საათამდე გარდა სამშაბათისა. გორის ქუჩა № 6 (დიდუბე)

ექიმის თანაშემწე
ვანო საათაშვილი
დებულობს ავათმყოფებს სად. 6—8 საათ. ვენერიული სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება, (სისხლის ნაკლებობით, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ.) ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხვ. მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი).
(12—7)

მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება. შინაგანი ავათმყოფობა, პლევრისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. დიდი სოლენოიდი არსონვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავათმყოფობისთვის. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე, საღამოს 6—8-მდე. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი გ. მ. მუხაძე
ქობულეთში გამგზავრების გამო შეწყვიტა ავადმყოფების მიღება ენკენისთვის ბოლომდის.

ექიმი ივანე თიკანაძე
იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმი პ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.
ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible], ტელეფ. 15—00.

ქ. ქუთაისი.
ექიმი მ. ი. ჩხენკელი
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

ექიმი ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტ. „ნოის“ პირდაპირ.

ქუთაისი
ექიმ გ. ი. გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფებს მიიღებენ დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათამდე

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
დებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრიზაცია. ტროიცკის ქუჩა, № 4

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორობად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19.

ბუხგალტერიის და კონტორის ცოდნათა კურსები
პირველ თფილისის კომერციულ სასწავლებელთან ორივე სქესის პირთათვის. მეცადინეობა დაიწყება 10 სექტემბრიდან, გათავდება 20 დეკემბერს. თხოვნები მიიღება სასწავლებლის კანცელარიაში.
(15—10)

Съ 4-го мая въ г. Тифлисѣ выходитъ ежедневная газета на русск. язык
БОРЬБА
Органъ Закавк. Областнаго и Тифлисскаго Комитетовъ Россійской Соц.-демократической Рабочей Партіи.
Подписка какъ городская, такъ и иногородная принимается въ контор „Ганатлеба“ (Ольгинская № 6). Деньги для подписки адресовать: Тифлисъ, почт. ящ. 96 Сильвестру Реманозовичу Таварткиладзе.
Корреспонденціи и статьи направлять по адресу: Тифлисъ, Головинскій пр. № 12 для редакціи «Борьба“.
Подписная цѣна до конца года 9 р., 3 м. 5 р. 50 к., 1 мѣс. 2 р.

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა რუსთაველის გამზირის შესახვევი № 1.